603 Л 13.833

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 95
(11 244)

1. – 3 დეკემბერი, 1998 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ნილისყრა

# დაუნდობელი ფორტუნა

გაისად, ადრეულ გაზაფხულზე ვიდრე X ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატი განახლდება, ტრადიციისამებრ, მეოთხედფინალის სათასო მატჩები გაიმართება. მას შემდეგ, რაც თბილისის „ლოკომოტივმა" თასისკენ მიმავალ გზაზე თვით თანაქალაქელთა კლუბი „დინამო" ჩამოიცილა, მას ამ საპატიო პრიზის ერთ-ერთ რეალურ მაძიებლად მიიჩნევენ. თუმცა, გუშინ, სფფ-ში მოწყობილი თასის მეოთხედფინალის კენჭისყრით რკინიგზელები, ალბათ, უკმაყოფილონი არიან: ბედმა მათ კიდევ ერთი ძნელი გამოცდა არგუნა — თასის შარშანდელი მფლობელი ბათუმის „დინამო". მაშ ასე:

**ლოკომოტივი (თბილისი) — დინამო (ბათუმი),**
**ტორპედო (ქუთაისი) — გორდა (რუსთავი),**
**არსენალი (თბილისი) — მერანი-91 (თბილისი),**
**ვიტ-ჯორჯია (თბილისი) — სამგურალი (წყალტუბო).**

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## I ჯგუფი
გამოტოვებული მატჩი

### პირველი წრის საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | (-) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბილისი) | 15 | 12 | 3 | 0 | 50-8 | 39 | (-6) |
| ტორპედო (ქუთაისი) | 15 | 11 | 2 | 2 | 42-14 | 35 | (-10) |
| კოლხეთი-1913 (ფოთი) | 15 | 8 | 3 | 4 | 34-22 | 27 | (-18) |
| ლოკომოტივი (თბილისი) | 15 | 6 | 9 | 0 | 18-6 | 27 | (-18) |
| დინამო (ბათუმი) | 15 | 6 | 6 | 3 | 23-14 | 24 | (-21) |
| დილა (გორი) | 15 | 6 | 4 | 5 | 21-21 | 22 | (-23) |
| იბერია (სამტრედია) | 15 | 5 | 3 | 7 | 26-30 | 18 | (-27) |
| არსენალი (თბილისი) | 15 | 4 | 6 | 5 | 19-25 | 18 | (-27) |
| მერანი-91 (თბილისი) | 15 | 3 | 8 | 4 | 13-16 | 17 | (-28) |
| ოდიში (ზუგდიდი) | 15 | 5 | 1 | 9 | 12-25 | 16 | (-29) |
| გორდა (რუსთავი) | 15 | 3 | 7 | 5 | 12-18 | 16 | (-29) |
| სიონი (ბოლნისი) | 15 | 4 | 3 | 8 | 15-32 | 15 | (-30) |
| ვიტ-ჯორჯია (თბილისი) | 15 | 5 | 2 | 8 | 14-17 | 14 | (-31) |
| სამგურალი (წყალტუბო) | 15 | 4 | 2 | 9 | 13-31 | 14 | (-31) |
| თსუ | 15 | 3 | 4 | 8 | 14-21 | 13 | (-32) |
| გურია (ლანჩხუთი) | 15 | 3 | 1 | 11 | 17-39 | 10 | (-35) |

*შენიშვნა: „ვიტ-ჯორჯიას" დაკლებული აქვს სამი ქულა.*

### დინამო (თბილისი) — კოლხეთი-1913 (ფოთი) 6–1

***დინამო:*** გვარამაძე, არჩვაძე (კვარაცხელია, 46), ჯელაძე, დიდავა, მუჯირი, სახვაძე, კიკნაძე, ალექსიძე, შენგელია (მელქაძე, 78), ცქიტიშვილი (რუხაძე, 46), მიქაძე.
***კოლხეთი-1913:*** ქვაჩახია (ჩემია, 46), გოროზია (კასოვსკი, 65), ტორჩინავა, ახვლედიანი, ძაღანიძე, გიორგაძე, კალანდაძე, გვასალია, ქობულაძე, გაბისოხია (ქუტიძე, 46), წივწივაძე.
***გოლები:*** ალექსიძე (2, 7, 55), გაბისონია (18), ცქიტიშვილი (30, 35, 41).
***მსაჯი:*** თ. ლაცაბიძე (სურამი).

„ლოკომოტივთან" სათასო მატჩში დამარცხებამ, როგორც ჩანს, გარკვეული ზემოქმედება მოახდინა დინამოელებზე. გახელებულმა მასპინძლებმა შეხვედრის დებიუტშივე იყარეს „ლოკომოტივის" ჯავრი კოლხებზე. სტუმრებს ეტყობოდათ, რომ სათანადოდ მობილიზებულნი არ იყვნენ „დინამოსთან" პაექრობისთვის. გუშინდელ თოვლ-ჭყაპში, წლევანდელი შემოდგომის ყველაზე მკაცრ ამინდში, მართლაც ძნელი იყო მდარედ, თავშეუწუხებლად ბურთაობა. ჰოდა, ფეხბურთელები, შეძლებისდაგვარად, ხურდებოდნენ მინდორზე, რასაც უკეთესად დინამოელები ახერხებდნენ. არც მათი მცირერიცხოვანი ფანკლუბელები შედრკნენ, ოღონდ ეგ იყო რომ, უდროშოდ, უდოლოდ და უსაყვიროდ ირჯებოდნენ. საერთო ჯამში კი ისე გამოვიდა, რომ X ეროვნულის პირველი წრის ბოლო მატჩს არანაირი ხიბლი, ინტრიგა და ინტერესი არ ეცხო. ისევ ის ფანკლუბი, და, აგრეთვე მცირერიცხოვან გულშემატკივართა „მეორე ფრთა" თუ გვაიმედებს ჩვენი ეროვნულის მერმისისათვის, რომლებთაც კვლავაც შერჩათ სურვილი ტაში დაუკრან საქართველოს ჩემპიონატში მობურთალ ბიჭებს.

დათო თავართქილაძე







**მაშ ასე, X ეროვნულის I წრის ბოლო მატჩმა ბომბარდირთა სიაში ცვლილებები ვერ შეიტანა. თბილისის დინამოელ აშვეთიასა და ქუთაისის ტორპედოელ იონანიძეს 13-13 ბურთი აქვთ გატანილი.**



## კალათბურთი • ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი

**საქართველო — შვედეთი 59:82 (43:37)**

*საქართველო:* ბოისა (8), ელენტი (3), გ. ნაცვლიშვილი, აბრამიძე (6), გაგნიძე, ბერძენიშვილი (1), ჯაფარიძე (16), ვ. ნაცვლიშვილი (11), მაისურაძე (5), ჩხეიძე (9).
*შვედეთი:* ჰოკანსონი (9), ბერსტრომი (4), ულანგერი, იენსონი (1), ლარსონი (3), ლანდგრენი, ბლუმი (12), გერკე (26), სტიმერი (3), სალსტრუმი (15).
*მსაჯები:* ტონჩევი (ბულგარეთი), ვაქინსკი (პოლონეთი).

## მეშვიდე და... სამარცხვინო

იხ. მე–2 გვ.

# მივულოცოთ თამარ ხმიადაშვილს

**ამ დღეებში ჩვენი ცნობილი დიდოსტატი თამარ ხმიადაშვილი მრავალ მილოცვას იღებს. იგი დაბრუნდა ავსტრიიდან, სადაც ბრწყინვალე სტილით მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა ვეტერან მოჭადრაკეთა შორის.**

ეს თამარის მესამე გამოსვლა იყო ამ დონის შეჯიბრებაში. 1996 წელს მას მეორე ადგილი ერგო ნონა გაფრინდაშვილის შემდეგ, 1997 წელს პირველ-მეორე ადგილები გაიყო მოსკოველ ტატიანა ზატულოვსკაიასთან, მაგრამ უარესი დამატებითი მონაცემები აღმოაჩნდა. წლეულს ქართველი მოჭადრაკის შედეგი მშვენიერი იყო. 11 პარტიიდან (შეჯიბრება შვეიცარული სისტემით მიმდინარეობდა) თამარმა მოიგო 8 და მხოლოდ სამი პარტია დაასრულა ყაიმით. 9,5-მა ქულამ ხმიადაშვილს პირველი ადგილი და მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოუტანა. საინტერესოა, რომ სხვებთან ერთად თამარმა შარშანდელ გამარჯვებულ ზატულოვსკაიასაც სძლია. ერთი სიტყვით, „მესამე ცდა" ხმიადაშვილისათვის ნამდვილად ბედნიერი გამოდგა. ახლა მას წარმატება უნდა ვუსურვოთ მსოფლიო ჩემპიონატის ზონალურ ტურნირში, სადაც ნოკაუტ-სისტემით ასპარეზობის მონაწილეები უნდა შეირჩნენ. იმედს გამოვთქვამთ, რომ სხვა ქართველ მონაწილეებთან ერთად გაისად თამარსაც ვიხილავთ კიშინიოვში, იმ 64 მოჭადრაკეს შორის, რომელთაც მსოფლიო ჩემპიონობაზე ექნებათ პრეტენზია — მას ხომ მხოლოდ ვეტერანთა შორის არ შეუძლია წარმატების მიღწევა!

9 ქულით მეორე ადგილზე გავიდა ცნობილი პოლონელი დიდოსტატი ერენსკა, ხოლო 8,5-8,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს მოსკოველმა დიდოსტატებმა რუბცოვა-ფათალიბეკოვამ და ზატულოვსკაიამ.

სააგენტო „გუმათე"

## ბერეჟნაია – სიხარულიძის წყვილი უძლიერესია

წარმატებით დაიწყო სეზონი ელენე ბერეჟნაიასა და ანტონ სიხარულიძის დუეტმა. მოსკოვში, გრან-პრის სერიით გამართულ ფიგურულ მოციგურავეთა საერთაშორისო ტურნირში წყვილთა სრიალში ისინი უძლიერესები იყვნენ.

## ვახტანგ მურვანიძეს — V ადგილი

ქ. ზაგრებში ფიგურულ ციგურაობაში გამართულ იუნიორთა მსოფლიო პირველობაში ერთეულთა თანრიგში წარმატებულად უნდა ჩაითვალოს ჩვენი მოციგურავის ვახტანგ მურვანიძის V ადგილი. აღსანიშნავია, რომ ვახტანგი რამდენიმე წელია მოსკოვში იმაღლებს ოსტატობას და სხვადასხვა შეჯიბრებაში კი, ცხადია, საქართველოს სახელით ასპარეზობს. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ვახტანგი, ალბათ, ზამთრის მომავალი ოლიმპიური თამაშების საგზურსაც მოიპოვებს.

## განცხადება

2 დეკემბერს, 15 საათზე, თბილისის ჟურნალისტთა სახლში გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის რიგგარეშე კონფერენცია.

მკითხველი — გაზეთი

# არის თუ არა კარატე ოლიმპიური სახეობა?

**შეკითხვა:** ბოლო ხანებში ხშირად იწერება პრესაში იმის შესახებ, რომ კარატე შეტანილია 2004 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. თქვენმა გაზეთმა კი, ამას წინათ, დაწერა თითქოს ეს საკითხი მხოლოდ შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის დღის წესრიგში დგას. რომელ ინფორმაციას დავეყრდნოთ?

გიგა ბერიანიძე,
თბილისი

**პასუხი:** „ლელო" ახლაც გადაჭრით აცხადებს, რომ 2004 წლის თამაშების პროგრამაში კარატე არ არის შეტანილი, ეს რომ ასე იყოს უკვე საყოველთაოდ იქნებოდა ცნობილი, რადგან, როგორც წესი, სპორტის ახალი სახეობის ჩართვა თამაშების პროგრამაში 8 წლით ადრე ცხადდება. ხოლო, რაც შეეხება საჩვენებელ გამოსვლებს, ასეთი რამ პრაქტიკაში აღარ არის.

რედაქცია დაუკავშირდა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის, კერძოდ, სპორტულ ფედერაციებთან მუშაობის ხელმძღვანელს თამაზ თევზაძეს, რომელმაც დაადასტურა, რომ 2004 წელს ოლიმპიურ თამაშებში კარატეს ჩართვის შესახებ სეოკ-ი ინფორმაციას აუცილებლად მიიღებდა, ეს რომ სინამდვილე იყოს. იგივეს აცხადებს სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა სოკ-ის ეგიდით გამართულ თავყრილობებიდან. „ოლიმპიური თამაშების პროგრამაში კარატეს ჩართვა ჯერჯერობით შეიძლება მხოლოდ შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის სურვილია", – თქვა ე. ზენაიშვილმა.

# რას გახდება რიო მადრიდთან?

**დღეს ტოკიოში, საკონტინენტთაშორისო თასისთვის ერთმანეთს მადრიდის „რეალი" და რიო დე ჟანეიროს „ვასკო და გამა" გაეჯიბრებიან.**

ევროპის ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშებაში გამარჯვებული მადრიდის „რეალი" ჩვენში ალბათ ყველამ კარგად უწყის თუ რას წარმოადგენს. სამხრეთ-ამერიკის ლიბერტადორესის თასის მფლობელ „ვასკო და გამაზე" კი ორიოდე სიტყვას დავძენთ.

„ვასკო და გამა" ლიბერტადორესის თასის წინა გათამაშების ფინალში პირველად გავიდა და გაიმარჯვა კიდეც. ყველაზე რთული და პრინციპული მატჩი ბრაზილიის ჩემპიონს არგენტინის „რივერ პლეიტთან" ჰქონდა, რომელსაც ნახევარფინალში დაუპირისპირდა. არგენტინელები ოდნავ შესუსტებული შემადგენლობით ასპარეზობდნენ, ტრავმების გამო გუნდმა ეროვნული ნაკრების ორი მოთამაშე მოისაკლისა – ლეონარდო ასტრადა და სერხიო ბერტი. შეხვედრა მეტად დაძაბულად, უშეღავათო ბრძოლაში წარიმართა. ბრაზილიელებს ცოტა ფორტუნამაც გადაჰხედა და 2-1 სძლიეს არგენტინის ჩემპიონს. ფინალში „ვასკო და გამას" მეტოქე ეკვადორის „ბარსელონა" გახლდათ. გუნდი, რომელიც ტრადიციებით და კლასით საგრძნობლად დაბლა დგას მასზე. ფინალი ორ რაუნდად ჩატარდა, „ვასკო და გამას" პირველს ხვდა მასპინძლობა. ანგარიშში მე-7 წუთზე დონიზეტემ გახსნა, მეორე ტაიმში კი ლუიზაომ მეორედ შეარხია „ბარსელონას" კარის ბადე. განმეორებით მატჩს გუაიაკულში (ეკვადორი) 90 ათასი მაყურებელი დაესწრო, მაგრამ ამანაც ვერაფერი უშველა „ბარსელონას". პირველ ტაიმში კვლავ ლუიზაომ და დონიზეტემ გააწბილეს ეკვადორელები, მეორე ტაიმის მიწურულს „ბარსელონამ" მხოლოდ პრესტიჟის გოლით (ანტონი დე ავილა) დაიმშვიდა თავი. მოკლედ, „ვასკო და გამამ" ყოველგვარი გართულებების გარეშე ორ რაუნდში (2-0, 2-1) სძლია „ბარსელონას" და თავის დაბადების დღესაც („ვასკო და გამას" წლეულს დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა) ბრწყინვალე საჩუქარი უძღვნა. წმინდა საფეხბურთო ასპექტების გარდა ლიბერტადორესის თასის ბოლო ფინალი სხვა რამითაც იყო ნიშანდობლივი — ჯადოქრობით. გუაიაკულის იმ სასტუმროს, სადაც ბრაზილიელებმა დაიდეს ბინა, გარს შემოერტყა ტიპიურ სამოსელში გამოწყობილი ადგილობრივ ინდიელთა ჯგუფი, ისინი კარგა ხანს ცეკვავდნენ, საკრავებზე უკრავდნენ, რითაც თავიანთი ჭკუით, „ვასკო და გამას" თარსავდნენ. როცა ბრაზილიელები სასტუმროდან გავიდოდნენ სტადიონზე სავარჯიშოდ, ინდიელთა ჯგუფი იქაც გაჰყვებოდა ხოლმე მათ და კვლავ დიდი ენთუზიაზმით ცდილობდა თავისი მაგიით „ვასკო და გამას" დათრგუნვას. თუმცა, არც ბრაზილიელები იყვნენ გულხელდაკრეფილნი. „ვასკო და გამას" მასაჟისტი პაი სანტანა მთელს ბრაზილიაში განთქმული თავისი „შელოცვებით". ის მინდორზე, სადაც მატჩი უნდა ჩატარდეს, სანთლებს არჭობს, მერე ანთებს მათ და იწყებს მოწინააღმდეგე გუნდისთვის ჯადოს (macumbas) კეთებას. ლიბერტადორესის ფინალური მატჩებისთვის კი, როგორც ეს თვით პაი სანტანამ განაცხადა, „ვასკო და გამას" მასაჟისტმა სპეციალური ჯადოქრული რიტუალი ჩაატარა.


„ვასკოს" ფეხბურთელები ლიბერტადორესის თასის მოპოვებას ზეიმობენ

„ვასკო და გამას" წვრთნის ანტო-

იხ. მე–3 გვ.



კალათბურთი ● ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი

# მეშვიდე და... სამარცხვინო

(პირველი გვერდიდან)

ქართული კალათბურთი კრიზისშია და მას სასწრაფოდ სჭირდება რეფორმები, ეს ადრეც კარგად იცოდნენ ჩვენი კალათბურთის მესვეურებმა, ხოლო ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო თბილისური მატჩის მერე ეს აზრი მათაც და გულშემატკივრებსაც განუმტკიცდათ.

შვედეთის ნაკრები, რომელსაც 28 ნოემბერს უმასპინძლა საქართველოს ნაკრებმა, ნამდვილად არ იყო ხელწამოსაკრავი გუნდი, მაგრამ შვედები არც ისე ძლიერები არიან, რომ 2 მატჩში 2 მარცხი აგემონ ჩვენს გუნდს. ასე კი მოხდა: შვედებმა თავიანთ ქვეყანაშიც სძლიეს ჩვენებურებს და თბილისშიც დაჩაგრეს ისინი.

შეხვედრის დაწყებამდე საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ლევან მოსეშვილიც და თავად კალათბურთელებიც ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი, გამარჯვებას ფიქრობდნენ და ამას არც მალავდნენ, მათ რწმენას ისიც აძლიერებდა, რომ შვედებმა თბილისში ჩამოსვლამდე სასტიკი მარცხი იგემეს თურქებისაგან, ამიტომ, ყველა ფიქრობდა, რომ სტუმრები სულიერად გატეხილნი იქნებოდნენ და ვერ შეძლებდნენ ძალების მობილიზებას.

საქართველოს ნაკრებს კი, როგორც ჩეხებთან შეხვედრისას, ახლაც გამოაკლდა გუნდის ლიდერი ვლადიმერ სტეფანია, რომლის სლოვენიიდან ჩამოუსვლელობის მიზეზიც მაღალი სიცხე ყოფილა. მართალია, თბილისში ჩამოვიდა, მაგრამ მოედანზე არ იყო ლევან ქარაბაკი, რაც გუნდის უფროსობამ მისი ტრავმით ახსნა. დანარჩენი ყველა უძლიერესი კალათბურთელი, ვინც ასეთად მიიჩნია ლევან მოსეშვილმა, იმ დღეს საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდა.

დეტალურად არ შევუდგები ამ მატჩის აღწერას, რადგან მასზე ბევრიც დაიწერა, ბევრიც ითქვა და ქომაგებმა თითქმის ყველაფერი იციან. ვიტყვი, რომ ეს იყო ორი დაბალი კლასის გუნდის პაექრობა, წესით, ეს შეხვედრა რომელიმე გუნდს მცირე უპირატესობით უნდა მოეგო და ასეც მოხდა, სამწუხაროდ, ეს გუნდი მეტოქე — შვედეთის ნაკრები აღმოჩნდა.

მატჩი ჩვენების უპირატესობით დაიწყო, რასაც შვედებმა შორი ტყორცნებით უპასუხეს, მაგრამ მათმა ცდამ, სამქულიანებით გაენეიტრალებინათ ქართველთა უპირატესობა, შედეგი არ გამოიღო. ჯაფარიძე, აბრამიძე, ბოისა, ბერძენიშვილი და ქლენტი, მონაცვლეობით, ქულას ქულაზე იგებდნენ. პირველ ტაიმში კარგად ირჯებოდა ჩხეიძეც. საბოლოოდ, პირველი ნახევარი საქართველოს ნაკრებმა მოიგო კიდეც ანგარიშით — 43-37. ამან კი იმედი მოიტანა, რომ ნავსი გატყდებოდა და ჩვენი გუნდი შეწყვეტდა დამარცხებათა სერიას შვედებთან გამარჯვებით. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა და ეს სულაც არ არის შვედების დამსახურება, მათი კალათბურთელების ოსტატობისა და მონდომების შედეგი.

მატჩის მეორე ნახევარი კვლავაც ჩვენი უპირატესობით დაიწყო, მაგრამ ბლუმმა, ლარსონმა, დაუღლავმა გ. ერკემ ხელი გამოიღეს და თანდათან გაქრა ჩვენების უპირატესობა. მთელი მეორე ტაიმი ჩვენი მეტოქის უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა მატჩის მოგება მაშინაც შეიძლებოდა, როცა მის დასრულებამდე 4 წუთი იყო დარჩენილი და შვედები 6 ქულას იგებდნენ, მაგრამ ამ დროს მოხდა ინციდენტი, რომელიც საბედისწერო გამოდგა ჩვენი გუნდისთვის და შეხვედრის გადარჩენის ყველა შანსი გადაუწურა ჩვენს გუნდს.

ჩვეულებრივ სათამაშო სიტუაციაში, შეხლა-შემოხლისას გერკემ ჩვენს ირაკლი ჯაფარიძეს უბიძგა ხელით, სანაცვლოდ ჯაფარიძემ გაარტყა მეტოქეს და ატყდა ჩხუბი. ნერვები ვერ დაიოკა სათადარიგოთა სკამზე მჯდომმა დათო ბერძენიშვილმა და თავისიანებს მიემხრო, რაც შვედი ლარსონის ცემით გამოიხატა. მოკლედ, დროებით მატჩი შეწყდა, ჯაფარიძესა და ბერძენიშვილს ტექნიკური შენიშვნა მისცა მსაჯმა და გააძევა მოედნიდან, რის სანაცვლოდ შვედებმა საჯარიმოები ტყორცნეს და ყველა ჩააგდეს. ისინი 10 ქულით დაწინაურდნენ, რამაც, ფაქტიურად, გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი. დარჩენილ დროში კი შეხვედრა ქულა-ქულაზე მიდიოდა და საქართველოს ნაკრებმა ისღა მოახერხა, რომ ანგარიშში სხვაობა შეამცირა. შვედებმა გაიმარჯვეს — 82-59.

ეს ნამდვილად არ იყო წასაგები თამაში. რომ არა ირაკლი ჯაფარიძისა და დათო ბერძენიშვილის მოუთოკავი ემოციები, გამარჯვება ნამდვილად შეიძლებოდა, მათმა თავშეუკავებლობამ კი გუნდიც აზარალა და თავადაც იზარალეს. ოთხ წუთში ექვსი ქულის „ამოქაჩვა“ ნამდვილად შეიძლებოდა. სამწუხაროა, რომ ბიჭებმა ვერ მოზომეს და მეტოქის უხეშობას ათმაგი უხეშობით უპასუხეს.

ჯაფარიძე და ბერძენიშვილი დიდ ძალას წარმოადგენდნენ გუნდისთვის, მათი გაძევებით ნაკრები მაღალი კალათბურთელების გარეშე დარჩა, უცენტრებოდ დარჩენილებმა კი ვერაფერი მოახერხეს. სიმართლე ითქვას, აქ ვერც მწვრთნელმა უშველა რაიმე გუნდს. ლევან მოსეშვილმა, უბრალოდ, ვერ შეძლო სასწაულის მოხდენა. აქვე უნდა ითქვას, რომ ვახტანგ ნაცვლიშვილი, რომლისაც ძალიან ეიმედებოდათ ქომაგებს, აშკარად სუსტად ირჯებოდა, რადგან ტრავმირებული იყო და სიარულიც კი უჭირდა, არათუ თავგამეტებული თამაში.

მოკლედ, საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეშვიდე მატჩიც წააგო. და შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ ეს შესარჩევი ციკლი ჩვენმა გუნდმა 0 ქულით დაასრულოს.

ამ სამარცხვინო ვითარებაში კი რეფორმებია საჭირო, სიახლეს ფული სჭირდება, რაც კალათბურთის ფედერაციას არ გააჩნია, არადა, ჩვენი დარჩენილი მეტოქენი (თურქეთი, იტალია, ლატვია) შვედეთის ნაკრებზე გაცილებით ძლიერები არიან და მათთან წარმატების უმცირესი შანსიც არ გაგვაჩნია.

რაც შეეხება ირაკლი ჯაფარიძესა და დათო ბერძენიშვილს, ამ კალათბურთელებს მოედნიდან გაძევება აკმარეს და მათთვის დისკვალიფიკაცია არ მიუცია კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციას. მათი უხეშობის საფასურად, ალბათ, საქართველოს კალათბურთის ფედერაცია გადაიხდის ჯარიმას, სავარაუდოდ, 10000 მარკას.

გია გიორგაძე

# ონში SOS სპორტკომპლექსი ინგრევა

ერთ დროს ეს საუკეთესო სპორტული კომპლექსი, 1991 წელს მიწისძვრის შედეგად დაზიანდა და ნაცვლად იმისა, რომ დროზე წაეშველებინათ ხელი, ყურადღება არავინ მიაქცია, არანაირი თანხა არ გამოიყო და ახლა გაცილებით მეტი შრომა და ხარჯები იქნება საჭირო მის აღსადგენად.

სპორტკომპლექსი სპორტსაზოგადოება „შევარდენს“ ეკუთვნის, მაგრამ რაიონულ ორგანიზაციას თანხები ვინ მისცა, ისევ ზემდგომის იმედად, კერძოდ, ამ სპორტსაზოგადოების საბჭოს და პირადად მისი თავმჯდომარის ბერდია გუგავას იმედად რჩებიან.

იქნებ მომავალი წლისთვის მაინც გაითვალისწინონ ამ სპორტული ობიექტის კაპიტალური რემონტი?

„ლელოს“ კორ,
ონი

## წიგნის თარო

*ფეხბურთი უკვდავი თემაა. ამ თამაშის თავგამოდებულმა ქომაგებმა ყველაზე და ყველაფერზე ყველაფერი იციან და თაობიდან თაობაში გადადის მისი უდიდებულესობის — ფეხბურთის ფენომენის ნიუანსებიც კი. ხოლო რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატების მაჯისცემას და ატმოსფეროს, არც ის ქრება უკვალოდ კინო-ვიდეო-ფოტო მოღვაწეთა და კალმოსანთა შემწეობით. გურამ ფანჯიკიძის შემდეგ ქართულ ენაზე ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების შთაბეჭდილებები წიგნად არავის გამოუცია და კარგა ხნის ვაკუუმი წლეულს შეივსო. ამ დღეებში მკითხველმა მიიღო სეოკ-ის გენერალური მდივნის, მსოფლიოს XVI ჩემპიონატზე გაზეთ „სარბიელის“ სპეციალური კორესპონდენტის ემზარ ზენაიშვილის წიგნი „ბედნიერების კუნძული“, რომელიც თვით ამ გაზეთის თაოსნობით ოპერატიულად დაისტამბა.*

*ნანახი და განცდილი შთამბეჭდა-*




*ვადაა გადმოცემული და წიგნის ყველა თავი ინტერესით, სხარტად იკითხება. ფეხბურთის გულშემატკივართა თვალწინ ათეული წლების შემდეგაც გაცოცხლდება „საფრანგეთი – 98“-ის პერიპეტიები, სწორედ ესაა ამ წიგნის დიდი დამსახურება.*

*„წიგნში თავმოყრილი წერილები ერთი ამოსუნთქით იკითხება. იგი დააინტერესებს, როგორც ფეხბურთის გულშემატკივრებს, ისე მათ, ვისაც სამოგზაურო ნარკვევები უფრო იზიდავს“ — წერს წიგნს დართულ წერილში საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი.*

# გახდება წყალთხილამურები სპორტის ოლიმპიური სახეობა?

ეს საკითხი ახლახან სევილიაში გამართულ სოკ-ის კონგრესზე წამოიჭრა წყალმოთხილამურეთა სპორტის საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნით. მართალია, მხარდამჭერები მეტი აღმოჩნდნენ, ვიდრე მოწინააღმდეგენი, მაგრამ საკითხი საბოლოოდ მაინც არ გადაწყვეტილა. საერთაშორისო ფედერაციას სურს წყალთხილამურები 2004 წლის თამაშებში ჩართონ, მაგრამ ეს გარკვეულ სიძნელეებს უქმნის თამაშების ორგანიზატორებს და პირველ ყოვლისა, მასპინძლებს. თუმცა, საბერძნეთი აცხადებს, რომ თუკი საკითხი დადებითად გადაწყდება, იგი თამაშებამდე დარჩენილ დროში მოასწრებს მოაწყოს შესაბამისი ბაზები ასპარეზობების ჩასატარებლად. საბოლოო გადაწყვეტილებას ალბათ ამ წლის ბოლოს მიიღებენ სოკ-ის აღმასკომის სხდომაზე.

კომენტარი ვთხოვეთ სეოკ-ის გენერალურ მდივანს ემზარ ზენაიშვილს: „არ არის გამორიცხული, რომ წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციისა და 2004 წლის თამაშების მასპინძლის, საბერძნეთის ეოკ-ის თხოვნას წყალთხილამურების ოლიმპიადის პროგრამაში ჩართვის თაობაზე მხარდაჭერა ჰპოვოს, ოღონდ ერთი პირობა მაინც აუცილებლად იქნება შესასრულებელი — წყალთა სახეობებში თამაშებში მონაწილეთა კვოტა უცვლელი უნდა დარჩეს, ისე, როგორც ეს მოხდა თამაშების პროგრ[illegible]ში (სიდნეი) ბატუტის ჩართვისას. ბატუტისტები ტანვარჯიშმა ჩაისვა თავის კვოტ[illegible]“.

# ბათუმის „კოლეჯი“ — ასლან ბალაძის გუნდი!



**როგორც ცნობილია, სულ რამდენიმე თვის წინათ შეიქმნა ბათუმის ფეხბურთელთა გუნდი „კოლეჯი“, რომელიც საქართველოს პირველობაზე გამოდის მეორე ჯგუფში და ჯერჯერობით ცხრილის შუაგულშია. ეს ახალგაზრდული კოლექტივი ბათუმის „დინამოს“ საბაზო გუნდია და ამდენად საყურადღებოც.**
**ამას წინათ, „ლელოს“ მიმომხილველი ესაუბრა „კოლეჯის“ მთავარ მწვრთნელს თბილისისა და ბათუმის „დინამოს“ ყოფილ მეკარეს ასლან ბალაძეს.**

● *ახალშექმნილი გუნდი, როგორც წესი, რაღაც ბაზას ეყრდნობა. თქვენთვის რა იყო ასეთი დასაყრდენი?*

— გუნდი დაკომპლექტებულია ქალაქის ბავშვთა საფეხბურთო სკოლების პერსპექტიული მოთამაშეებით.

● *მხოლოდ ბათუმის საფეხბურთო სკოლებიდან იღებთ შევსებას?*

— არა, ქობულეთიდანაც, „დინამოს“ მოზარდ ფეხბურთელთა სკოლიდანაც, აქამდე ბევრი მზარდი ჭაბუკი იკარგებოდა, — ყველა ხომ ვერ მოხვდებოდა პირდაპირ “დინამოში“. ახლა ეს პრობლემა მთლიანად მოხსნილია. ჩვენი გუნდი ყველაზე ახალგაზრდულია — საშუალო ასაკი 19 წელია.

● *ვინ იცავს „კოლეჯის“ ღირსებას და ვინ მუშაობს გუნდში თქვენთან ერთად?*

— მეკარეები ავთანდილ კუნჭულია. დავით გასპარიანი და რომან ვარშანიძე. მცველები ნადიმ გორჯელაძე, ვალერი შანიძე, ლაშა ოქროპირიძე, ჯაბა სიამაშვილი, დათო გალოგრე, დავით ბოლქვაძე, ნახევარმცველები გია ჩიჩუა, გია ევგენიძე, კახა ქაცარავა, ვიტალი დარჩიძე, ბესო თედორაძე, არჩილ შერვაშიძე, გია მოწყობლი, სულხან ჯინჭარაძე, თავდამსხმელები კახა კობიძე, მინდია ჩხაიძე, ლადო ჩიჩუა, ვალერი ჯალაღონია და დავით ვასაძე. „კოლეჯის“ პრეზიდენტია ბათუმის პედაგოგიური „კოლეჯის“ დირექტორი თემურ ჭანტურიშვილი, მწვრთნელი გურამ ქორიძე, გუნდის ტექნიკური დირექტორი ზურაბ კირცხალია.

● *თქვენმა ბიჭებმა პირველ სამ ტურში ერთი ქულაც ვერ მოიპოვეს, რა იღონეთ ასე წარუმატებელი სტარტის შემდეგ?*

— ბიჭები საკუთარ ძალებში დავარწმუნეთ, ვარჯიშს ბევრი დრო მოვანდომეთ, კარგად გავაანალიზეთ შეცდომები და სამეულში მოხვედრის შანსიც კი გაგვიჩნდა.

● *როგორც გავიგეთ, თქვენი უფროსი ვაჟი ირაკლი „დინამოს“ საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობს და მამის მსგავსად მეკარეობა აურჩევია, შეძლებს კი მამის ოდენს?*

— ამას მომავალი გვიჩვენებს, თავდაპირველად შესანიშნავი სპეციალისტები ტარიელ ქიშმარია და გივი იმნაძე ავარჯიშებდნენ, ახლა თავად მოვკიდე ხელი მის დაოსტატებას.

● *ბავშვთა ფეხბურთს უჭირს ქვეყანაში, არა?*

— საერთოდ, უჭირს ქართულ ფეხბურთს, რომელსაც ბავშვთა ფეხბურთის განვითარებით უნდა ეშველოს. დიდი ფეხბურთი ბავშვთა ფეხბურთის გარეშე ვერ იარსებებს, ამიტომ უწინარესად მას უნდა მივხედოთ. მოზარდთა სავარჯიშო მოედნები მინიმალურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ფინანსურადაც უნდა წავეშველოთ.

ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის, ვეცდებით შევქმნათ ძლიერი გუნდი, ვითამაშოთ შემტევი ლამაზი ფეხბურთი.

ესაუბრა ოთარ მურვანიძე,
სპორტის ჟურნალისტთა
აჭარის რეგიონული ორგანიზაციის
პასუხისმგებელი მდივანი

**P.S. „კოლეჯი“ წარმატებით გავიდა საქართველოს თასის გათამაშებაში, რომელშიც თავიდან 128 გუნდი ჩაება, მან მერვედფინალამდე მიაღწია. ესეც დიდი წარმატებაა დებიუტანტისათვის. დანარჩენი ვნახოთ!**

# სპორტული მედიცინას გვიბრუნდება

სპორტულმა მედიცინამ ჩვენში უმდიდრესი ტრადიციები შექმნა და ასპარეზზე გამოიყვანა ისეთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომელთა ერუდიცია ყოფილი სსრ კავშირის საზღვრებსაც გასცდა. ქართველ სპეციალისტებს ხშირად იწვევდნენ საბჭოთა ნაკრებ გუნდებთან მომუშავე სამეცნიერო უზრუნველყოფის ჯგუფებში. ამ სფეროში წარუშლელი კვალი დატოვეს რომანოზ სვანიშვილმა, ზაქრო თელიამ, დიმიტრი წვერავამ, ოთარ ვირუბოვმა, თენგიზ ქუთათელაძემ და სხვებმა.

## ყრილობა

ბოლო წლებში ამ დარგსაც გამოეცალა საყრდენი, საფრთხე შეექმნა უძვირფასეს ტრადიციებს და ამდენად სწორედ რომ დროული იყო განახლება, ვინმეს უნდა ეთავა სამართალმემკვიდრეობა, რათა წერტილი არ [illegible] დასმოდა თაობათა ნალვაწნაამაგარს. თაოსნობა საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოიჩინა, ყრილობაზე შეკრიბა დარგის სპეციალისტები, აირჩიეს ახალი ხელმძღვანელობა, რომელმაც თავი გამოაცხადა სპორტული მედიცინის ადრინდელი ფედერაციის სამართალმემკვიდრედ და განახლებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაცია უწოდა. სამართლებრივი პროცედურის გავლის შემდეგ, ასოციაცია იურიდიულ სტატუსს შეიძენს და მუშაობას შეუდგება საკუთარი წესდების შესაბამისად. სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანსუღ ბაგრატიონმა, რომელიც ყრილობის მუშაობას ასოციაციის პრეზიდენტის არჩევამდე უძღვებოდა, განაცხადა, რომ რეგისტრაციის გავლის შემდეგ ასოციაცია საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან არსებულ შესაბამის ორგანიზაციაში გაწევრიანება, რაც საქართველოში სპორტული მედიცინის განვითარებას ახალ სტიმულს მისცემს.

რაც შეეხება ასოციაციის პრეზიდენტს. ამ თანამდებობაზე ყრილობამ ერთხმად დაუჭირა მხარი გია აბესაძის კანდიდატურას. გია აბესაძე წარსულში ხელბურთელი იყო. სპორტის ოსტატია, აქვს სამედიცინო სფეროში ორგანიზატორული მუშაობის მდიდარი გამოცდილება, ახლა 10 წელზე მეტია სათავეში უდგას შსს სამედიცინო სამსახურს, თუ გავითვალისწინებთ მის პიროვნულ ღირსებებსაც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის სპორტულ მედიცინას მეტად საჭირო კაცი ჩაუდგა დღეიდან სათავეში.

თ.გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გვჭირდება კი ველოსიპედის გამოგონება?

## ანუ იმის შესახებ, ქართულ ფეხბურთში როგორ ჯიუტობს დრომოჭმული და ფეხს ითრევს სიახლეები...

ნათქვამია, საქმემან შენმა გამოგაჩინოსო. 1990 წლიდან, რაც დასაბამი მიეცა დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს, მისმა მესვეურებმა მრავალი კეთილი თუ უკეთური ნაბიჯებით დაგვამახსოვრეს თავი. ისინი დღენიადაგ გვახსენებდნენ, რომ მიუხედავად შინამომებისა და აშლილობისა, უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირისა, სფფ გაწევრიანდა ფიფა-უეფაში, რეგულარულად ატარებს ჩემპიონატისა და თასის გათამაშებებს, ქვეყნის ნაკრები და საკლუბო გუნდები მონაწილეობენ კონტინენტთა საერთაშორისო შეჯიბრებებში. ამაზე ოპონენტები პასუხობდნენ — განა ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ არ მიაღწია იგივეს? მაგალითისათვის ომებში გახვეული ტაჯიკეთი ავიღოთ. რვა წელია ამ ქვეყანაში სისხლი იღვრება, ის კი დღეს ფიფასა და აზიის ფეხბურთის კონფედერაციის წევრია, ატარებს შიდა შეჯიბრებებს, მონაწილეობს ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებშიც.

მაშ რითი განსხვავდება ერთმანეთისაგან ჩვენი და იმათი ფეხბურთის ფედერაციები? არ ვიცი, ვინ როგორ ფიქრობს, პირადად მე კი მგონია, რომ შუააზიური ფეხბურთის მესვეური თავის მუშაობაში არასოდეს დაუშვებს ისეთ ლაფსუსს, როგორიც, ვთქვათ, მოხდა სოლოღაშვილის საქმესთან დაკავშირებით, ანდა, არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება ქვეყნის ჩემპიონატის დებულებაში შეიტანოს მუხლი, რომელიც ითვალისწინებს გუნდებისთვის ქულების დაკლებას.

მოკლედ, სათქმელს მივადექით და კვლავ, უკვე მერამდენედ, გვინდა კატეგორიულად გავილაშქროთ ბოლო სამ წელიწადში შემოღებული პრაქტიკის წინააღმდეგ. ამაზე მეტი დემაგოგია რაღა გინდა, თითქოსდა, მსაჯებისა და მატჩის დელეგატების ხელშეუხებლობის გარანტად შემოღებულმა ამ წესმა, რომლის ნოვატორადაც მსოფლიოში მაინცდამაინც სფფ გამოვიდა, მრავალ გუნდს მოუსწრაფა სიცოცხლე — რომელი ერთი ავიღოთ: თელავის „კახეთი“, ხარაგაულის „ჩხერიმელა“, ვანის „საჩინო“...

„ნეტარ არიან მორწმუნენი!“ კანონის გამკაცრებამ მოსპო ჩვენს ფეხბურთში ძალადობა? სულაც არა. კვლავ ფიზიკურად უსწორდებიან მსაჯებს, ოღონდ ახლა სისაძაგლე უფრო ფარულად, „ცივილიზებულად“ ხდება: „დამნაშავე“ მსაჯებზე გეშავენ უცნობ მაყურებლებს — მიდი და ეძებე, რომელ გუნდს გულშემატკივრობს იგი. შედეგად, ყველაფერი დამოკიდებულია სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტის წევრთა ნება-სურვილზე. სწორედ ამიტომ, უკვე მერამდენედ, ვიმეორებთ — ***ქულების დაკლება-არდაკლების წესი შემოღებულია, რათა ფედერაციამ ხელოვნურად არეგულიროს გუნდების სატურნირო მდგომარეობა.***

### შეუსაბამობა ბევრია, მაგრამ – ასეთი?

საქართველოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების დებულებაში არაერთი პარადოქსია, ერთი მუხლი მეორეს ეწინააღმდეგება. საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ, თუნდაც უკანასკნელ თვეში მომხდარი ამბები გავიხსენოთ. ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში, როცა „მერანი-91“ „ვიტ-ჯორჯიას“ ხვდებოდა, სტუმართა ცენტრალურმა მცველმა, იმავდროულად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ჰანკოტაძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გვერდით მსაჯს, ქუთაისელ რუსიშვილს. შედეგად სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტმა, დებულების თანახმად, „ვიტ-ჯორჯიას“ 3 ქულა დააკლო, ხოლო ფეხბურთელს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია უბოძა. ორი კვირის შემდეგ ბათუმის დინამოსა და საქართველოს ნაკრების მეკარე ტოგონიძემ გორში, სათასო მატჩში, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა თბილისელ არბიტრ ფანიაშვილს. სადისციპლინო კომიტეტმა ამჯერად ლმობიერება გამოიჩინა: „ვიტ-ჯორჯიასავით“ ბათუმელთა გუნდი არ გასწორა, ხოლო ფეხბურთელს მიმდინარე წლის ბოლომდე გამოუტანა დისკვალიფიკაცია (ფაქტობრივად, ტოგონიძეს ორმატჩიანი „დასვენება“ არგუნეს — ზუსტად ამდენი შეხვედრა ჰქონდა კიდევ ჩასატარებელი მის კოლექტივს 1998 წელს).

ასეთი პარადოქსული გადაწყვეტილებების საბაბს, თქვენ წარმოიდგინეთ, პირველ რიგში, ჩვენი შიდასაშეჯიბრო წეს-კანონი იძლევა. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში მსაჯი გალახე, ქულებს დაგაკლებენ, ამ სათასო შეხვედრაში კი, სული და გული, ცემე რამდენიც გინდა, გუნდის პასუხისმგებლობა არსადაა გათვალისწინებული. ვითომ შემთხვევითაა დებულებებში ასეთი შეუსაბამობა? მაშასადამე, ***ფედერაციის ახალარჩეულმა აღმასკომმა, ვფიქრობთ, სასწრაფოდ უნდა იზრუნოს ასეთი იურიდიული კაზუსების გამოსასწორებლად.***

ახლა, საკითხს სხვა მხრიდანაც უნდა მივუდგეთ. ზევით, ჩვენ გუნდების პასუხისმგებლობაზე ვთქვით და არ შევხებივართ თავად წესრიგის დამრღვევებს: ჰანკოტაძეს 12-თვიანი დისკვალიფიკაცია „გამოუწერეს“, ხოლო ტოგონიძეს ანალოგიური ქმედებისათვის — ამის მეათედი. რატომ? კანონი ხომ ყველასათვის ერთი უნდა იყოს? გვესმის, პირველ ყოვლისა, ეროვნული ნაკრების ინტერესები გაითვალისწინეს, და ამიტომ იყო სადისციპლინო კომიტეტი ლმობიერი, მაგრამ ჰანკოტაძეც ხომ ახალგაზრდული ნაკრების წევრია!

მაშ, რაშია გამოსავალი, როგორ მივაღწიოთ, რომ კანონი ყველასთვის ერთი იყოს? ცხადია, ყველას თავისი მოსაზრება აქვს. პირველ რიგში, საინტერესოა სპეციალისტთა შეხედულება და ამ მიზნით გავესაუბრეთ გუნდების მწვრთნელებს, კლუბების პრეზიდენტებს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ძალზე უარყოფითად აფასებს მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის გუნდებისთვის ქულების დაკლების პრაქტიკას. როგორც გახსოვთ, პირველ დებულებაში ამ მუხლის შემოღების წინააღმდეგ საჯაროდ გამოვიდა თბილისის „მერანი-91“-ის კლუბის პრეზიდენტი ნუგზარ ნავაძე. მაშინ იგი იმდენად აღშფოთებული იყო ფედერაციის მხრიდან საკითხებისადმი ვოლუნტარისტული მიდგომით, პროტესტის ნიშნად სფფ-ს აღმასკომის რიგებიდანაც კი გავიდა. თავის დროზე პრესაში მკვეთრად უარყოფითად შეაფასეს არსებული წეს-კანონები დავით ყიფიანმა, მურთაზ ხურცილავამ, რომან შოთაძემ, ჯონი ჯანელიძემ. საკმაოდ მკაფიოდ გამოთქვეს თავისი პოზიცია სპორტულმა ჟურნალისტებმაც.

### ეს წესი უნდა შევინარჩუნოთო

ქართული ფეხბურთის სამყაროში გია ძამუკაშვილი გამორჩეული პიროვნებაა: უმწიკვლო წარსული, საფეხბურთო კლუბებში მუშაობის გამოცდილება, ღრმა ცოდნა და ერუდიცია. სწორედ მას მიანდო მერაბ ჟორდანიამ ყველაზე ძნელი და საპასუხისმგებლო უბანი — მსაჯებთან და კომისრებთან (დელეგატებთან) მუშაობა. ამ მიმართულებით რომ ჩვენში ერთ-ერთი დიდი გარღვევაა, ამას, ვფიქრობთ, ბევრი მტკიცება არ ჭირდება.

თქმა არ უნდა, ქართული საფეხბურთო თემიდის გარჯაზე წინა წლებში გარკვეული გავლენა მოახდინა შექმნილმა გარემომ. მისი მსახურები იგივე ჩვენი საზოგადოებრიობის ნაწილია. მათაც შეეხოთ ომი, შინააშლილობა, ეკონომიკური სიდუხჭირე, ირგვლივ გამეფებული კორუფცია. ამას ისიც დავუმატოთ, რომ სხვა ქვეყნების კოლეგებთან შედარებით ჩვენს მსაჯებს მიზერული ანაზღაურება აქვთ.

მახსენდება 1993 წელი. მძვინვარებდა სამოქალაქო ომი. ეროვნული ჩემპიონატის მატჩები კი მაინც იმართებოდა. რედაქციის დავალებით ფოთს გავემგზავრე, თამაშამდე 3 (!) დღით ადრე (ასეთი თადარიგის დაჭერა აუცილებელი იყო — ტრანსპორტი ჭირდა). წიფის გვირაბთან მატარებელი დღე-ნახევარი გაჩერდა, მერე სენაკთან შეექმნა შეფერხება. მოთმინება რომ გამოვლეია, გზას ფეხით დავადექი. იქ წამოვეწიე ხონელ მსაჯთა ბრიგადას თემურ მაჭარაძის ხელმძღვანელობით — ჩემზე ძალიან მათ უწვალიათ: სამტრედიიდან ფეხით მოვდივართო. და ეს ერთეული შემთხვევა არ იყო. რა გაჭირვება არ გამოუვლიათ ჩვენს მსაჯებსა და კომისრებს (სხვათა შორის, ჟურნალისტებსაც!), ვინ მოთვლის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მეტნაკლებად პატიოსნად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას.

სიტყვა მეტნაკლებად ტყუილად არ გვიხმარია. ვინ იცის, რამდენი ცოდვა აქვს ჩადენილი ჩვენს საფეხბურთო თემიდას ამ ბოლო წლებში, რამდენი გუნდი, ფეხბურთელი დაჩაგრულა. მაგრამ ყველაზე ცოდოა მაყურებელი. როცა ის ხედავს, რომ, ვთქვათ, გუნდები აშკარად წინასწარი გარიგებით ირჯებიან მინდორზე და ამაზე მსაჯები, კომისრები არ რეაგირებენ, ანდა, არბიტრი აშკარად ჩაგრავს ერთ-ერთ გუნდს, მას, გულშემატკივარს ეროვნულ ჩემპიონატზე გული უცრუვდება და ხელმეორედ სტადიონზე ასეთი სისაძაგლის საყურებლად აღარ მივა.

უწინ ქართველ მსაჯებს ის ჰქონდათ სალაპარაკო — ფიზიკური შეურაცხყოფის გვეშინია და იმიტომ ვმსაჯობთ ზოგჯერ არაობიექტურადო. ჰოდა, მესამე წელია ეროვნული ჩემპიონატის დებულებაში ის ავადსახსენებელი მუხლი შეიტანეს, ზევით რომ ვახსენეთ, ძალადობა კი სტადიონზე არ კლებულობს.

ამის თაობაზე „ლელო“ გაესაუბრა გია ძამუკაშვილს. მისი აზრით, გუნდებისათვის ქულების დაკლების პრაქტიკა შემდეგშიც უნდა შენარჩუნდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალადობა სტადიონებზე არნახულ მასშტაბებს მიიღებსო (თანახმად წინასწარი მოლაპარაკებისა, ბატონი გია ამ და ზოგიერთ სხვა საკითხზე უახლოეს მომავალში ჩვენს გაზეთს თავის მოსაზრებებს გაუზიარებს).

როგორც ხედავთ, ჩვენი და ზოგიერთი საფეხბურთო სპეციალისტის მოსაზრება ერთმანეთს არ ემთხვევა. ამჯერად, ჩვენს სათქმელს, კიდევ ერთხელ, მოკლედ გავიმეორებთ:

*სიბოროტეს სისასტიკით არ უნდა ებრძოლო. ჩვენს შემთხვევაში, ვფიქრობთ, დამნაშავე გუნდების დასჯა ქულების დაკლებით კი არა, უფრო ეკონომიკური სანქციებით იქნებოდა სამართლიანი და ეფექტური. ასეთი პრაქტიკაა მთელ მსოფლიოში (ფულადი ჯარიმა, სტადიონის დისკვალიფიკაცია). მაშ, რატომ უნდა ვიყოთ ჩვენ სხვებისგან გამორჩეულები? გვჭირდება კი ველოსიპედის ხელახლა გამოგონება?*

ჯემალ ჭიპაშვილი

# რას მახდება რიო მადრიდთან?

*(პირველი გვერდიდან)*

ნიო ლოპესი, რომლის შემწეობითაც გუნდი ვეტერანებისა და ახალგაზრდების წარმატებულ სინთეზს წარმოადგენს. „ვასკო და გამას“ ბირთვი ანუ დამრტყმელი ძალა ექვსი ფეხბურთელისგან შედგება. ოთხი იმათგანი ვეტერანია – მაურო გალვაო, ლუიზინიო, დონიზეტე, ლუიზაო. დანარჩენი ორი ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა – პედრინიო (21 წლის) და ფელიპე (21 წლის). გუნდის მეკარეა 28 წლის კარლოს ჟერგანო, რომელიც საფრანგეთი – 98-ზე ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში კი ირიცხებოდა, მაგრამ მონდიალზე თამაში მხოლოდ ტაფარელს ხვდა წილად.

„რეალის“ და „ვასკო და გამას“ დღევანდელ მატჩს დამატებით ინტრიგას მატებს რობერტო კარლოსისა და ფილიპეს „დუელი“. „რეალისა“ და ბრაზილიის ნაკრების მარცხენა მცველმა რობერტო კარლოსმა საფრანგეთი – 98-ზე ბევრი თავისი თაყვანისმცემელი გააწბილა უფერული თამაშით. მონდიალზე მისგან გაცილებით მეტს მოელოდნენ. უკმაყოფილო ტორსიდამ მყისვე ფილიპესკენ გაიშვირა ხელი – აი, სწორედ ამ 21 წლის ყმაწვილს შეუძლია ეროვნულ გუნდში 25 წლის რობერტო კარლოსის ღირსეულად შეცვლაო. ბრაზილიური პრესა საქებარ ეპითეტებს არ იშურებს ფელიპესთვის. ტორსიდასა და მედიის დარად ბევრი სპეციალისტიც თვლის, რომ რობერტო კარლოსი ფელიპეს გამო მალე დაჰკარგავს ადგილს ეროვნული გუნდის ძირითად შემადგენლობაში. თვით ფელიპე კი თავისი კონკურენტის შესახებ ამბობს: „ის ბრწყინვალე ფეხბურთელია, ძალიან სწრაფია და ძლიერი დარტყმა აქვს. ჩემი სათამაშო სტილი ნაწილობრივ განსხვავებულია. ჩემი თამაში დრიბლინგსა და ტექნიკას ეყრდნობა“. თუმცა ხორხე ლოურეირო ფელიპე მხოლოდ დრიბლიორი როდია. ის კარგად „კითხულობს“ თამაშს, რაც საშუალებას აძლევს მას სწორი გადაწყვეტილება მიიღოს ამა თუ იმ სათამაშო სიტუაციაში. კარგად თამაშობს კორპუსით, გამოირჩევა იმითაც, რომ ძალისმიერ ორთაბრძოლებში უმეტესად გამარჯვებული გამოდის. ლიბერტა დორესის თასის მოპოვებაში მან ლომის წილი დაიდო. ფინალში, „ბარსელონას“ მწვრთნელმა ფელიპეს (რომელიც მარცხენა შემტევი მცველი გახლავთ) ორი მეურვე მიუჩინა, მაგრამ ტაქტიკა არ აღმოჩნდა საკმარისი ფელიპეს შესაჩერებლად.

„ვასკო და გამას“ სხვა ფეხბურთელებიც ალბათ ერთობ ეცდებიან თავი მოაწონონ ვანდერლეი ლუქსემბურგოს (ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი) და ბებერი კონტინენტის მდიდარ კლუბებს –



ვნახოთ ერთი, რა ხვითოა ეს ფელიპე...

დღევანდელი მატჩი მათთვის გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე „რეალის“ ცხოვრებამოწყობილი ფეხბურთელებისთვის. ვფიქრობთ, საკონტინენტთაშორისო თასის წლევანდელ მატჩსაც გამორჩეული ფავორიტი არ ჰყავს.

დათო თავართქილაძე

# ორთაბრძოლა

## საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა

საფრანგეთის ჩემპიონატის პირველი წრე დასასრულს მიუახლოვდა. ერთხანს ლიდერთა მთელი ჯგუფი წარმოიქმნა, (რომელიც შემცირდა და ახლა მხოლოდ „დუუმვირატიღა“ დარჩა: „ოლიმპიკი“ (მარსელი) და „ბორდო“. ეს ორი კლუბი უკვე მნიშვნელოვანი სხვაობით უსწრებს მესამე ადგილზე მყოფ „რენს“.

საკმაოდ დიდხანს წაუგებლად სამი გუნდი იბრძოდა: „ბორდო“, „ოლიმპიკი“ და „ლიონი“. მერვე ტურში მათ რიცხვს „ბორდო“ გამოაკლდა, რომელიც ამ დღეს კორსიკაში „ბასტიასთან“ თამაშობდა. საინტერესოა, რომ ამ ტურში „უკანასკნელი ვადა“ მიეცა კორსიკელთა გუნდის ხელმძღვანელს, ტუნისის ნაკრების ყოფილ პოლონელ მწვრთნელ ჰენრიკ კასპერჩაკს. „ბასტიის“ მოთამაშეები, რომლებსაც არავითარ შემთხვევაში არ უნდოდათ კასპერჩაკთან გამოთხოვება, დიდი თავდადებით მოქმედებდნენ და მოიგეს კიდეც შეხვედრა ანგარიშით 2-0. ამის მიუხედავად, „ბორდომ“ მაინც შეინარჩუნა ლიდერობა.

მომდევნო ტურებში „ოლიმპიკმა“ შეძლო „ბორდოსთვის“ გადასწრება. ჯერ მან მოიგო „სტრასბურთან“ მეტოქის მინდორზე — 2-0, ამასთან, ორივე გოლი ჩინებულად მოთამაშე ფლორიან მორისმა გაიტანა, რომელსაც საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი როჟე ლემური მაინცდამაინც არა სწყალობს. მეათე ტურში, უკვე შინ მარსელელებმა მძიმე მარცხი — 4-0 აგემეს „სოშოს“, ამასთან, ორი გოლის ავტორი უკვე ფაბრიციო რავანელი იყო. რაც იტალიის ნაკრების კარი მაგრად გამოუხურეს, „ჭაღარა“ ბომბარდირის ძირითადი ასპარეზი საფრანგეთის ჩემპიონატიღა დარჩა. ზედიზედ მესამე გამარჯვებამ გასვლით მატჩში უიმედო აუტსაიდერ „ლორიანთან“ — 3-1 „ოლიმპიკი“ უკვე ერთპიროვნულ ლიდერად აქცია — მან ერთი ქულით ჩამოიტოვა „ბორდო“. გარდა მორისისა და რავანელისა, მარსელელთა გუნდში ძლიერად თამაშობს კიდევ ერთი თავდამსხმელი, ნაკრების წევრი პირესი.

კომენტატორები გამოყოფენ მეთორმეტე ტურის შეხვედრას მარსელში, სადაც ლიდერმა მიიღო ჩემპიონობის კიდევ ერთი პრეტენდენტი „მონაკო მარსელის ველოდრომის“ მაყურებლები წლეულს არაერთხელ ყოფილან მეტად საინტერესო მატჩების მოწმენი, თუნდაც ისეთისა, როგორიც იყო შეხვედრა „მონპელიესთან“, სადაც სტუმრები იგებდნენ ანგარიშით 4-0, მაგრამ მაინც დამარცხდნენ: „მონაკოსთან“ მთელი მეორე ტაიმის მანძილზე „ოლიმპიკი“ 10 კაცით თამაშობდა, მაგრამ მაშინ, როცა მატჩის დამთავრებას სულ რამდენიმე წამიღა აკლდა, ლიდერმა მაინც გამოგლიჯა ხელიდან გამარჯვება. საფრანგეთის არაერთგზის ჩემპიონს ეს ერთადერთი გოლი ფლორიან მორისმა ნაკრებში თავის პარტნიორ ფაბიენ ბარტეზს გაუტანა. ვთქვათ ისიც, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირი ბარტეზი ამჯერად აშკარად არ თამაშობს თავის ადრინდელ, „ზაფხულის დონეზე“.

„ოლიმპიკის“ მთავარი კონკურენტი „ბორდო“ ახლა საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში ყველაზე აგრესიულ გუნდად ითვლება. ეს გარკვეულწილად მისი უძლიერესი სნაიპერის სილვენ ვილტორის დამსახურებაა. ფრანგი კომენტატორების აზრით, მან მიზნად დაისახა, რადაც არ უნდა დაუჯდეს, მოხვდეს საფრანგეთის ნაკრებში, და, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, ლიგის ყველაზე უფრო შედეგიანი ბომბარდირია. „ბორდოს“ კიდევ ერთ სნაიპერ ლილიან ლალანდს უკვე ჰქონდა დებიუტი როჟე ლემერის გუნდში. მშვენივრად თამაშობს ალი ბენარბია. ერთი მიმომხილველის აზრს თუ დავეთანხმებით, რომ საფრანგეთის ნაკრებს არა ჰყავდეს ისეთი დირიჟორი, როგორიც ზინედინ ზიდანი გახლავთ, ამ როლს ბენარბია წარმატებით შეასრულებდა. „ოლიმპიკთან“ შედარებით „ბორდოს“ ერთი ნაკლი აქვს — იგი სუსტად თამაშობს აუტსაიდერებთან და თუ ასე გაგრძელდა, მაშინ სასწორი აშკარად მარსელელთა სასარგებლოდ გადასწონის. მით უმეტეს, რომ თუ ამ კონკურენტების დაკომპლექტების თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, ამ მხრივ „ოლიმპიკს“ უპირატესობა აქვს. უკვე დასახელებულ ოსტატებთან ერთად მწვრთნელ როლან კურბისს ჰყავს ცნობილი თავდამსხმელი კრისტოფ დიუგარი, რომელიც ნაკრების მოთამაშეა, მაგრამ ასე გასინჯეთ, „ოლიმპიკში“ ყოველთვის როდი ხვდება ძირითად შემადგენლობაში, რომ დიუგარის სულაც არ დაუკარგავს საბრძოლო შემართება, ეს მან დაამტკიცა ერთ-ერთ უკანასკნელ მატჩში ქვეყნის ჩემპიონ (დანამდვილებით შეიძლება ითქვას, უკვე ყოფილ ჩემპიონ) „ლანსთან“, სადაც ერთადერთი გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

რა შეიძლება ითქვას დანარჩენი გუნდების შესახებ? რა თქმა უნდა, თუ ჩემპიონობისათვის არა, საპრიზო ადგილებისათვის მაინც მეტად მძაფრი ბრძოლა გაიმართება. ისე რომ, აქამდე საკმაოდ უფერული „რენი“ ახლა ლიდერებს კვალდაკვალ მისდევს, დიდ სიურპრიზად ითვლება. კლუბის ხელმძღვანელობამ გამონახა თანხები, შეიძინა, როგორც ამბობენ ეგზოტიკური ბურუნდელი შაბანი ნონდა (გადმოვიდა შვეიცარიულ „ციურიხიდან“), რომელიც კარგი შედეგიანობით გამოირჩევა, კიდევ ერთი თავდამსხმელი სერჟიკ ბარდონი („ლიონიდან“), საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ედუარდ სისე. ახლა „რენის“ ყველა რგოლი საკმაოდ კარგად არის დაკომპლექტებული. გუნდი წარმატებით უტევს და შეუპოვრად იცავს თავს. „რენს“ წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ლე გუენი ხელმძღვანელობს. საფრანგეთის ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბი „პარი-სენ-ჟერმენი“ სეზონის დასაწყისში მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მატჩი მატჩს მისდევდა და ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი ლამის აუტსაიდერის მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქმეს უშველა მთავარი მწვრთნელის პოსტზე ცნობილი პორტუგალიელი სპეციალისტის არტურ ჟორჟეს მიწვევამ, რომელიც ადრეც ხელმძღვანელობდა პარიზელთა კლუბს. პარიზელები თანდათანობით დაიძრნენ წინ და 15 ტურის შემდეგ უკვე მეექვსე ადგილზე გადავიდნენ.

ახლა დაუმარცხებელი აღარავინ დარჩენილა. „ოლიმპიკი“ უკანასკნელი აღმოჩნდა, რომელმაც მარცხი იწვნია ეს მოხდა ლიონში, მეთხუთმეტე ტურში, მანამდე კი მას, ასე გასინჯეთ, 18-თამაშიანი წაუგებელი სერია ჰქონდა (14 — ჩემპიონატში და 4 — უეფას თასზე). საინტერესოა, რომ ამ დღეს, 19 ნოემბერს „ოლიმპიკისა“ და ნაკრების ცნობილ ცენტრალურ მცველ ლორან ბლანს დაბადებიდან 33 წელი შეუსრულდა, იგი უმაღლეს დივიზიონში მე-300 მატჩს ატარებდა, მაგრამ გულდაწყვეტილი კი დარჩა. მაშინ, როცა ანგარიში ჯერ კიდევ არ იყო გახსნილი, წინ გაიჭრა „ლიონის“ მცველი დავიდ ლინარესი, დაარტყა კარში, ბურთი, რომელიც სწორედ ბლანს მოხვდა, მაგრამ ლინარესმა დაასწრო ვეტერანს და პირველი გოლი გაიტანა. „ლიონის“ თავდამსხმელი ფილიპ ვიოლო მეორე გოლის ავტორი გახდა, რომელსაც მორისმა ერთით უპასუხა.

მეთექვსმეტე ტურში „ოლიმპიკმა“ ფრედ 0-0 ითამაშა საკუთარ მინდორზე პსჟ-სთან და დათმო ლიდერობა. „ბორდომ“ სძლია „ლანსს“ — 1-0, 38 ქულა მოაგროვა და „ოლიმპიკს“ ერთი ქულით უსწრებს.

გივი გამრეკელი

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# ბირჰოფი: მთავარია, ყველაფერი პატიოსნად აკეთო



**ჟურნალ „კიკერის“ გამოკითხვით 1997-98 წლების საფეხბურთო სეზონის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს „მილანის“ თავდამსხმელი 30 წლის ოლივერ ბირჰოფი. გერმანიის ნაკრების ადრინდელმა ხელმძღვანელმა ბერტი ფოგტსმა იგი გუნდის კაპიტნად დანიშნა. ამ არჩევანს ახლანდელი მწვრთნელი ერიხ რიბეკიც დაეთანხმა. ამის შემდეგ ბირჰოფმა ვრცელი ინტერვიუ მისცა „კიკერის“ კორესპონდენტს.**

● ***ჰერ ბირჰოფ! რას ნიშნავს თქვენთვის „წლის ფეხბურთელად“ არჩევა? აქამდე თქვენ რაიმე დიდი ჯილდო არ მიგიღიათ.***

— მართალს ბრძანებთ. მრავალი წლის მანძილზე მე ჯილდოებს არავინ მაძლევდა. როცა ვიგონებ, რა მომივიდა ამ უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზე, ვფიქრობ, რაიმე ლამაზი სიზმარი ხომ არ ვნახე-მეთქი!

● ***უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ?***

— ეს არის ის წარმატება და აღიარება, რომელიც 1996 წლის შემდეგ მოვიპოვე. ტრიუმფი ევროპის ჩემპიონატში — „ოქროს გოლი“, იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერის წოდება, იტალიის სერია „A“-ს 11 საუკეთესო მოთამაშეთა შორის მოხვედრა, გერმანიის ნაკრების კაპიტნად არჩევა, ახლა კი გერმანიაში „წლის ფეხბურთელის“ წოდების მიღება — აი ჩემი წარმატებები. ის, რომ გერმანიის უდიდესი ფეხბურთელების რიცხვში მომიხსენებენ, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული აღიარებაა.

● ***ხომ არ გგონიათ, რომ თქვენი უკანასკნელი მიღწევა ქალბატონ ფოგტსს უნდა მიუძღვნათ?***

— არა, მე ასე არ ვფიქრობ. შესაძლოა, მისი თხოვნა ბერტი ფოგტსისადმი, მივეწვიე ნაკრებში ევროპის ჩემპიონატის წინ, აუცილებელი იმპულსი გახდა. ამასთან თავს ვალდებულად ვთვლი მადლობა გამოვუცხადო ბევრ ადამიანს, რომელთა ხელშეწყობითაც მოთამაშე გავხდი, სულაც აღარ ვგავდი იმას, ვინც ათი წლის წინ ბუნდესლიგაში თამაშობდა. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ თვით შევასრულე ძირითადი როლი ამ პროგრესში. ამიტომ ახალ ჯილდოს ვიღებ, როგორც იმის აღიარებას, რაც ბოლო წლებში გავაკეთე, მაშინ, როცა ჯეროვნად არ მაფასებდნენ და სასტიკადაც მაკრიტიკებდნენ.

● ***რამ ითამაშა გადამწყვეტი როლი იმაში, რომ თქვენ, მართალია, დიდი დაგვიანებით, მაგრამ, მაინც გახდით გამოჩენილი მოთამაშე?***

— რა თქმა უნდა, გარკვეული როლი ტალანტმაც შეასრულა. ამასთან, საჭირო იყო მისი გაშალაშინება, განვითარება და სრულყოფა. ამას კი დიდი მუშაობა, დისციპლინა, მოთმინება და მუდმივი მიზანსწრაფვა სჭირდება.

● ***ისე რომ, მოთმინებისა და შრომის შემთხვევაში...***

— ჩემი ყველაზე დიდი ღირსება, რა თქმა უნდა, გოლის გატანის ინსტინქტია. ამას კაცს ღმერთი აძლევს. ამასთან, ფეხბურთში წარმატების მისაღწევად მეტია საჭირო. მე ძალიან ბევრი მძიმე მუშაობა მომიხდა.

● ***თომას ჰესლერი, ლოთარ მათეუსი და ჰანს-პეტერ ბრიგელი „წლის ფეხბურთელები“ მაშინ გახდნენ, როცა იტალიურ კლუბებში გამოდიოდნენ. იძლევა თუ არა მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში თამაში გარკვეულ უპირატესობას?***

— შესაძლოა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავდამსხმელისათვის. იტალიაში გატანილ გოლებს ხომ გერმანიაში აფასებენ. ხოლო თუ ბედი გაგიღიმებს და რონალდოსთან შეჯიბრებას შენს სასარგებლოდ გადაწყვეტ, მაშინ ყველა შემთხვევაში მოგაქცევენ ყურადღებას. ამასთან, იტალიაში გატანილ გოლებს ნაკრებში გატანილებიც დაემატა.

● ***ნაკრების იმიჯი ამჟამად ძალიან გაფერმკრთალდა. შეიძლება იმის იმედი გვქონდეს, რომ ბერტი ფოგტსის გადადგომის შემდეგ მდგომარეობა სწრაფად გამოკეთდება?***

— მხოლოდ კარგი შედეგებით შეიძლება საზოგადოებრიობის, გულშემატკივრების და პრესის ნეგატიური დამოკიდებულების შეცვლა. უპირველეს ყოვლისა, ყველა უნდა დარწმუნდეს, რომ ჩვენ შეკრული კოლექტივი ვართ. ეს მომენტი არც ნაკრების ახლანდელ მწვრთნელზეა დამოკიდებული და არც ძველზე. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ მთლიანად ვიხარჯებით, ისე, სხვათა შორის არ ვთამაშობთ. აქ გადამწყვეტი ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის თამაშები უნდა გახდეს. მართალია, ჩვენ მკაცრად გვაკრიტიკებენ, მაგრამ უნდა გავერთიანდეთ და წარმატება მოვიპოვოთ. ტაქტიკის ცოდნისა და წმინდა საფეხბურთო ღირსებებთან ერთად მტკიცე ხასიათიც უნდა გამოვავლინოთ.

● ***ძნელია თუ არა ამ მომენტში ნაკრების კაპიტნობა?***

— რა თქმა უნდა, მე რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდი. ზოგი ფიქრობს, რომ მე ახალი მწვრთნელიც ვარ, პრეზიდენტიც, მენეჯერიც. კაპიტნის როლს მეტ მნიშვნელობას აძლევენ, ვიდრე მას სინამდვილეში აქვს. გუნდის მდგომარეობას ერთი ადამიანი როდი განსაზღვრავს.

● ***ზოგიერთი გერმანული სუპერკლუბი ცდილობს ეროვნული ნაკრების როლის დამცირებას. ხომ არა გაქვთ შეგრძნება, რომ გუშინდელი დღის გუნდის კაპიტანი ხართ?***

— მე ვიმედოვნებ, რომ ეს ასე არ არის. მოთამაშისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ეროვნულ ნაკრებში გამოსვლაა. ნაკრების პრობლემებს გაგებით უნდა შევხვდეთ, იგი შორს არის საფეხბურთო ოლიმპისაგან. ამავე დროს ისმის ასეთი კითხვა: რა აზრი აქვს წამყვანი კლუბების მოთამაშეებისათვის, ამდენ საკვალიფიკაციო და ამხანაგურ მატჩებში მიიღონ მონაწილეობა აშკარად სუსტ მეტოქეებთან. სხვა გზა უნდა გამოვნახოთ. ამხანაგურ მატჩებში ფეხბურთის კლასიკოსებს უნდა შევხვდეთ, ისეთებს, როგორიც არიან იტალიის, ინგლისის, ესპანეთის, საფრანგეთის და ბრაზილიის ნაკრებები. ეს მატჩები მაყურებლების აღფრთოვანებას იწვევს, მოთამაშეებს კი კარგ მოტივაციას აძლევს.

● ***იტალიაში რომ იმყოფებით, როგორ აფასებთ გერმანული ფეხბურთის შესახებ გამართულ დისკუსიას? მეტისმეტად ხომ არ ვამცირებთ საკუთარ თავს?***

— ასეთ პოლემიკას იტალიაშიც ეწევიან, ოღონდ, უფრო წყნარი ფორმით. რა თქმა უნდა, რეფორმები აუცილებელია, მაგრამ აი რა არის თვალშისაცემი: ბუნდესლიგის ყველა კლუბი აცხადებს, რომ საჭიროა საკუთარი რეზერვების უკეთ მომზადება, მაგრამ გარდაქმნა მხოლოდ რამდენიმე მათგანში მიმდინარეობს.

● ***მოთამაშეები პროფესიული ფეხბურთის ცენტრალური ფიგურები არიან. ამავე დროს თანამედროვე ფეხბურთელის სახე სულ უფრო წინააღმდეგობრივი ხდება. ერთის მხრივ, იგი მილიონების იდეალია, მაგრამ მეორე მხრივ, მას სიხარბე ახასიათებს. ამის მაგალითია ძმები ბურების მაგალითი.***

— უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ვთქვათ, რომ კონტრაქტის შესრულების პირობები გარკვეულ კორექტირებას მოითხოვს: ჩემთვის კონტრაქტი ყოველთვის კონტრაქტად რჩებოდა. „უდინეზეში“ რამდენჯერმე წარმოიქმნა სიტუაცია, როცა მე შემეძლო მეთქვა: მართალია, კონტრაქტი მაქვს დადებული, მაგრამ ამ კლუბში მეტს აღარ ვითამაშებ, რადგან სხვა კლუბში მეტ ფულს მივიღებ“. მსოფლიო კლასის მოთამაშეებს მაღალი შემოსავლის მიღების უფლება აქვთ. მათი მეპატრონეები ხომ უზარმაზარ თანხებს იღებენ სუვენირების გაყიდვით, რეკლამით, ამხანაგური მატჩების გამართვით. მაგრამ ამასთან, მოთამაშეების მაღალ ჰონორარს თამაშის მაღალი დონეც უნდა შეესაბამებოდეს. ამ თვალსაზრისით მოთამაშეები ვალდებულნი არიან კონტრაქტის პირობები განუხრელად შეასრულონ.

● ***თქვენ მიმზიდველი პიროვნება ხართ რეკლამისათვის. თვლით თუ არა, რომ „წლის ფეხბურთელის“ წოდების მიღების შემდეგ ამ მხრივ თქვენი აქციები კიდევ უფრო გაიზრდება?***

— რა თქმა უნდა, ეს ფაქტი იმიჯს აუმჯობესებს. მაგრამ მათთვის, ვინც რეკლამის საკითხებს წყვეტს, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ჩემი თამაშის დონე.

● ***გიგრძვნიათ თუ არა შური თქვენს მიმართ, განსაკუთრებით კი ეროვნულ ნაკრებში?***

— არა, მე არ მიგრძვნია. მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობის დროს ნაკრების წევრებს შორის რაიმე შეხლა-შემოხლა არ ყოფილა. მაგრამ ჩემამდე მოდის ხმები, რომ ნაკრების ზოგი მოთამაშე, „რეკლამის ბიჭს“ მეძახის. ეს მაშინ, როდესაც ჩემთვის ცნობილია, რომ მათი მენეჯერები სარეკლამო კონტრაქტის გაფორმების იმედით კარს სწორედ იმ ფირმებს უტალახიანებდნენ, რომლებმაც ჩემთან დადეს ხელშეკრულება. ჩემთვის მთავარია საქმეების პატიოსნად წარმოება ყველა წესის დაცვით. ამ მხრივ მე ყოველთვის მართალი ვიქნები.

● ***როგორ გესახებათ თქვენი მომავალი?***

— მინდა ოთხი წელი უმაღლეს დონეზე ვითამაშო „მილანსა“ და გერმანიის ნაკრებში, კარიერა კი მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ დავამთავრო. ახლა მე ვგრძნობ, რომ კარგი საბრძოლო მზადყოფნა მაქვს. პროფესიული კარიერის პირველ წლებში მე ისეთი ქანცგამცლელი ცხოვრება არა მქონია, როგორც იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ნაკრებში 22 წლის ასაკიდან გამოდიან. ჩემი უახლოესი მიზნებია ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირის წარმატებით ჩატარება და „მილანის“ შემადგენლობაში იტალიის ჩემპიონობის მოპოვება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩემი მომავალი იმ გუნდებთან არის დაკავშირებული, რომლებიც დიდი გამარჯვებების შემდეგ ახლა გარდაქმნის პროცესში იმყოფებიან.

მოამზადა ბიჭი თორელმა

### უეფას პრეტენზიები „რეალს“

უეფამ ერთხელ აპრილში უკვე დასაჯა მადრიდის „რეალი“, როცა თამაშის წინ კარი ჩამოიქცა. ახლა მადრიდელთა მიმართ კვლავ წარმოიშვა, თუმცა სულ სხვა სახის, პრეტენზიები, უეფას წარმომადგენელ კურტუას აზრით, სანტიაგო ბერნაბეუს სტადიონის ზოგიერთ სექტორზე სავარძლები სულაც არ არის ისეთი, როგორიც საჭიროა. კერძოდ, უეფა იწუნებს სავარძლების სახელურებს (აბა, რაზე უნდა დაეყრდნოს ხელით მაყურებელი! ასეთი საყვედური გამოითქვა „რეალისა“ და გრაცის „შტურმის“ მატჩის შემდეგ, ამასთან, უეფას წარმომადგენელი მადრიდელებს დაემუქრა, რომ აუცილებლად დასვამს საკითხს მათი დაჯარიმების შესახებ.

### სწორედ ის სალინასი!

ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ორი ყოფილი ცნობილი ფეხბურთელი, თავდამსხმელი ხულიო სალინასი და ნახევარმცველი ანდონი გოიკოეჩეა, რომლებიც იაპონიაში თამაშობდნენ, ახლა სამშობლოში დაბრუნებას აპირებენ. ისინი იაპონურ კლუბ „იოკოჰამა მარინოსში“ ვერ შეეწყნენ თანამემამულე მწვრთნელ ანტონიო დე ლა კრუსს. სალინასი ახლაც ჩინებულად თამაშობს, ორი სეზონის 50 მატჩში 34 გოლი გაიტანა. მადრიდის გაზეთ „მარკას“ კორესპონდენტთან საუბარში სალინასმა განაცხადა: „ჩემი კონტრაქტი „მარინოსთან“ დეკემბერში მთავრდება, რის შემდეგ ბილბაოში ვბრუნდები“. სალინასი რომელიმე ესპანურ კლუბში ითამაშებს.

რაც შეეხება გოიკოეჩეას, იგი საერთოდ აპირებს ფეხბურთთან გამოთხოვებას.

### ჰოდლის მოთხოვნა დააკმაყოფილეს

იმის მიუხედავად, რომ ბევრი მიმომხილველი მოელოდა ინგლისის ნაკრების მწვრთნელ გლენ ჰოდლის გადადგომას, მასთან ახალი ხელშეკრულება გაფორმდა 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის დამთავრებამდე. თვით ჰოდლი მოითხოვდა მისი წლიური ხელფასის 100 ათასი გირვანქა სტერლინგამდე (167 900 დოლარი) გაზრდას, რაც მისი ადრინდელი გასამრჯელოს 40 პროცენტს შეადგენს. მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა კიდეც და ახლა



ჰოდლი თითქმის იმდენს იღებს, რამდენსაც ინგლისის პრემიერლიგის წამყვანი კლუბების მწვრთნელები.

გაგახსენებთ, რომ ჰოდლმა ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის შემდეგ ტერი ვენებლსი შეცვალა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ხელშეკრულებაში იყო პუნქტი, რომ მისი პირობების გადასინჯვა შეიძლებოდა მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შემდეგ.

## შევჩენკოს დათმობას არ აპირებენ

**ჟურნალისტები ხშირად ეწვევიან ხოლმე კიევის „დინამოს“ საპატიო პრეზიდენტს, უკრაინის პარლამენტის წევრ გრიგორი სურკისს. საუბარი კლუბის სატრანსფერო პოლიტიკას ეხება**

— „დინამოს“ წინაშე კონკრეტული ამოცანაა — ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მოხვედრა. როცა ასეთი პრობლემაა გადასაწყვეტი, წამყვან მოთამაშეებს ვინ გაყიდის. თუმცა, რა დასამალია, მაცდუნებელ წინადადებებს კი გვაძლევენ. შარშან, მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით გამოვედით, ევროპის წამყვან კლუბებში თამამად შეეძლო გადასვლა ჩვენს 3-5 მოთამაშეს. მაგრამ შეგნებულად ვთქვით უარი წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვაზე. ეს ასეა, მაგრამ სხვადასხვა გარემოების გამო ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელია. უახლოეს ხანებში, ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ტურნირის დამთავრებისთანავე ერთ-ერთ საზღვარგარეთულ კლუბში გადავა ოლეგ ლუჟნი. იგი მრავალ წელს სულით და გულით ემსახურა კიევის „დინამოს“, ახლა კი თითქოს მეორედ გაახალგაზრდავდა. ამიტომ ჩვენ არა გვსურს ხელი შევუშალოთ ოლეგს თავისი ძალები უკვე საზღვარგარეთ მოსინჯოს. თუკი რომელიმე კარგმა კლუბმა იური კალიტვინცევსაც შესთავაზა გადასვლა, ჩვენ დავთანხმდებით. რაც შეეხება კიევის „დინამოს“ სატრანსფერო პოლიტიკის სხვა საკითხებს, მისი განხილვა ამჟამად არც ღირს.

● ***ყველაზე მეტად ჟურნალისტებს ის აინტერესებთ, რა რეაქციას ახდენს კიეველთა ხელმძღვანელობა, როცა ანდრეი შევჩენკოს გაყიდვაზეა ლაპარაკი.***

— ანდრეი ახლა კიევის „დინამოს“ მოთამაშეა, გოლები გააქვს, მზარდ ოსტატობას გვიჩვენებს. უახლოეს თვეებში გაირკვევა, როგორ გაუძლებს შევჩენკო იმ ისტერიას, რომელიც მისი გაყიდვის გამო არის ატეხილი. ეს ისტერია საზღვარგარეთის გაზეთებში ატყდა და ჩვენთანაც გავრცელდა. გაითვალისწინეთ, შევჩენკო მხოლოდ 22 წლისაა, მასზე ასეთი ფსიქოლოგიური იერიში რომ არ მიეტანათ, გაყიდვის საკითხი საერთოდ არ დაისმებოდა. მას თამამად შეუძლია ჩვენს კლუბში კიდევ 2-3 წელი ითამაშოს, ამით კლუბს მადლობა გადაუხადეს მაღალი კლასის ოსტატის მომზადებისათვის. „დინამოსა“ და „არსენალის“ მატჩის შემდეგ „მილანის“ მთავარმა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ ლონდონში განაცხადა, რომ შევჩენკო არა მხოლოდ ევროპელ საუკეთესო თავდამსხმელთა რიცხვში შედის, არამედ, საერთოდ, საუკეთესოა მათ შორის. მას ძალიან სურს ანდრეი თავის კლუბში იხილოს და ფიქრობს, რომ შევჩენკო — ბირჰოფის დუეტი შესანიშნავი იქნება.

— ჩვენ შევჩენკო გვჭირდება ყველაზე მაღალი ამოცანების გადასაწყვეტად. ამიტომ, ნუ აჩქარდებით. მინდა ხაზი გავუსვა, რომ თავიანთ „ქამს“ რადჩენკო, მიხაილენკო, ვენგლინსკი და ძმები მაკოვსკებიც უცდიან, რომელიც აუცილებლად დადგება. ამასთან, „დინამო 2“-ში იზრდება ახალგაზრდა, ნიჭიერი და ამბიციური ფეხბურთელების მთელი თაობა, რომელსაც ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრების ყველა შესაძლებლობა აქვს.

# ძნელია, მაგრამ, საპატიო...



საქვეყნოდ ცნობილია, რაოდენ ძნელია იყო სპორტსმენის ცოლი ან მეგობარი ქალი. ისინი ერთად იზიარებენ მათი რჩეულის წარმატების სიხარულს თუ მარცხის სიმწარეს. ყველაზე გახარებულები კი ახლა მსოფლიო ჩემპიონების — ფრანგი ფეხბურთელების მეორე ნახევრები არიან. როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი რჩეულ მოთამაშეებს საპატიო ლეგიონის ორდენებს გადასცემდა, ისინი გვერდში უდგნენ მეუღლეებს.

მარცხენა ფოტოზე — ზინედინ ზიდანის მეუღლე ვერონიკა, ჟაკ შირაკი, ზინედინ ზიდანი, მარჯვენა სურათზე ფრანკ ლებეფია ბეტისხან ერთად.

მიუხედავად იმისა, რომ იტალიის ნაკრები საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე მხოლოდ მეოთხედფინალამდე მიაღწია და შემდეგ გამოეთიშა გათამაშებას, კრისტიან ვიერი და მისი მეგობარი ქალი ვაინ კონტინაუტი მაინც კმაყოფილები არიან. (ქვევით — მარცხნივ): 25 წლის ბომბარდირმა საკმაოდ სარფიან კონტრაქტს მოაწერა ხელი რომის „ლაციოსთან". სახელშეკრულებო თანხა 30 მილიონ დოლარს უდრის.

ქვედა მარჯვენა ფოტოზე ეულად გამოსახულია ჩილელი ფორვარდის ივან სამორანოს საცოლე დანიელა კამპოსი. მისმა მომავალმა მეუღლემ მართალია საფრანგეთში დიდად ვერ გამოიჩინა თავი, სამაგიეროდ, დანიელამ, სანამ მონდიალი მიმდინარეობდა, გაიმარჯვა სილამაზის კონკურსში და მალე თავისი ქვეყნის ღირსებას დაიცავს „მისს მსოფლიოს" კონკურსში.







## თქვენთვის, ფეხბურთის გულშემატკივრებო!

## გერმანიის ჩემპიონატი

ბუნდესლიგაში ჩატარებული მატჩების შედეგები ტურების მიხედვით

### I ტური

ბოხუმი – ფრაიბურგი 1-2
ვოლფსბურგი – ბაიერნი 0-1
მიუნხენი – კლაუტერნი 1-2
დუისბურგი – აინტრახტი 2-1
შტუტგარტი – დორტმუნდი 2-1
გლადბახი – შალკე 3-0
ლევერკუზენი – ჰანზა 3-1
ჰერტა – ვერდერი 1-0
ნიურნბერგი – ჰამბურგი 1-1

### II ტური

აინტრახტი – მიუნხენი 2-3
ვერდერი – ნიურნბერგი 2-3
დორტმუნდი – ჰერტა 3-0
ბაიერნი – დუისბერგი 3-1
შალკე – შტუტგარტი 1-0
კლაუტერნი – გლადბახი 2-1
ჰამბურგი – ბოხუმი 1-0
ფრაიბურგი – ლევერკუზენი 1-1
ჰანზა – ვოლფსბურგი 3-3

### III ტური

ლევერკუზენი – ჰამბურგი 1-2
ბოხუმი – ვერდერი 2-0
შტუტგარტი – კლაუტერნი 4-0
ბაიერნი – ჰანზა 6-1
ჰერტა – შალკე 2-0
დუისბურგი – მიუნხენი 1-1
ვოლფსბურგი – ფრაიბურგი 1-1
გლადბახი – აინტრახტი 1-1
ნიურნბერგი – დორტმუნდი 0-0

### IV ტური

ფრაიბურგი – ბაიერნი 0-2
დორტმუნდი – ბოხუმი 0-1
ჰანზა – დუისბურგი 3-0
კლაუტერნი – ჰერტა 4-3
მიუნხენი – გლადბახი 3-1
შალკე – ნიურნბერგი 2-2
ჰამბურგი – ვოლფსბურგი 1-1
ვერდერი – ლევერკუზენი 2-2
აინტრახტი – შტუტგარტი 1-1

### V ტური

ჰანზა – ფრაიბურგი 0-2
ვოლფსბურგი – ვერდერი 2-4
ბოხუმი – შალკე 1-2
შტუტგარტი – მიუნხენი 0-1
ჰერტა – აინტრახტი 3-1
ლევერკუზენი – დორტმუნდი 3-1
ბაიერნი – ჰამბურგი 5-3
ნიურნბერგი – კლაუტერნი 1-1
დუისბურგი – გლადბახი 2-2

### VI ტური

ვერდერი – ბაიერნი 0-1
კლაუტერნი – ბოხუმი 2-3
შალკე – ლევერკუზენი 0-1
გლადბახი – შტუტგარტი 2-3
ჰამბურგი – ჰანზა 1-0
მიუნხენი – ჰერტა 2-0
დორტმუნდი – ვოლფსბურ. 2-1
აინტრახტი – ნიურნბერგი 3-2
ფრაიბურგი – დუისბურგი 2-2

### VII ტური

ნიურნბერგი – მიუნხენი 1-5
ჰერტა – გლადბახი 4-1
ჰანზა – ვერდერი 2-1
დუისბურგი – შტუტგარტი 2-0
ფრაიბურგი – ჰამბურგი 0-0
ვოლფსბურგი – შალკე 0-0
ლევერკუზენი – კლაუტერნი 2-2
ბოხუმი – აინტრახტი 0-0
ბაიერნი – დორტმუნდი 2-2

### VIII ტური

აინტრახტი – ლევერკუზ. 2-3
შალკე – ბაიერნი 1-3
ვერდერი – ფრაიბურგი 2-3
გლადბახი – ნიურნბერგი 0-2
მიუნხენი – ბოხუმი 2-1
ჰამბურგი – დუისბურგი 4-1
დორტმუნდი – ჰანზა 2-0
კლაუტერნი – ვოლფსბურგი 1-1
შტუტგარტი – ჰერტა 0-0

### IX ტური

ბოხუმი – გლადბახი 1-2
ბაიერნი – კლაუტერნი 4-0
ვოლფსბურგი – აინტრახტი 2-0
ფრაიბურგი – დორტმუნდი 2-2
ჰამბურგი – ვერდერი 1-1
ჰანზა – შალკე 2-2
დუისბურგი – ჰერტა 0-0
ლევერკუზენი – მიუნხენი 1-1
ნიურნბერგი – შტუტგარტი 2-2

### X ტური

გლადბახი – ლევერკუზენი 2-8
მიუნხენი – ვოლფსბურგი 2-3
კლაუტერნი – ჰანზა 3-2
აინტრახტი – ბაიერნი 1-0
შტუტგარტი – ბოხუმი 4-2
ჰერტა – ნიურნბერგი 3-0
ვერდერი – დუისბურგი 1-1
შალკე – ფრაიბურგი 1-1
დორტმუნდი – ჰამბურგი (გადაიდო)

### XI ტური

ბაიერნი – მიუნხენი 3-1
ფრაიბურგი – კლაუტერნი 0-1
ვოლფსბურგი – გლადბახი 7-1
ვერდერი – დორტმუნდი 1-1
დუისბურგი – ნიურნბერგი 1-1
ბოხუმი – ჰერტა 2-0
ჰამბურგი – შალკე 2-2
ჰანზა – აინტრახტი 2-2
ლევერკუზ. – შტუტგარტი 0-0

### XII ტური

შალკე-ვერდერი – გადაიდო
გლადბახი-ბაიერნი – გადაიდო
დორტმუნდი – დუისბურგი 2-0
კლაუტერნი – ჰამბურგი 1-0
შტუტგარ. – ვოლფსბურ. 1-2
ჰერტა – ლევერკუზენი 0-1
აინტრახტი – ფრაიბურგი 3-1
ნიურნბერგი – ბოხუმი 2-2
მიუნხენი – ჰანზა 2-1

### XIII ტური

ბაიერნი – შტუტგარტი 2-0
ვერდერი – კლაუტერნი 0-1
ჰანზა – გლადბახი 1-1
ვოლფსბურგი – ჰერტა 2-1
დორტმუნდი – შალკე 3-0
ლევერკუზ. – ნიურნბერგი 3-0
ჰამბურგი – აინტრახტი 0-1
დუისბურგი – ბოხუმი 2-0
ფრაიბურგი – მიუნხენი 1-2

### XIV ტური

ჰერტა – ბაიერნი 1-0
ბოხუმი – ლევერკუზენი 1-5
კლაუტერნი – დორტმუნდი 1-0
შტუტგარტი – ჰანზა 1-1
მიუნხენი – ჰამბურგი 0-0
ნიურნბერგი – ვოლფსბურ. 1-1
აინტრახტი – ვერდერი 0-2
შალკე – დუისბურგი 2-0
გლადხბახი – ფრაიბურგი 3-1

### XV ტური

ფრაიბურგი – შტუტგარტი 2-0
ბაიერნი – ნიურნბერგი 2-0
ვერდერი – მიუნხენი 4-1
ჰამბურგი – გლადბახი 3-0
ლევერკუზენი – დუისბურგი 2-0
ვოლფსბურგი – ბოხუმი 4-1
დორტმუნდი – აინტრახტი 3-1
ჰანზა-ჰერტა 1-2
კლაუტერნი – შალკე 4-1

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### კონკრეტულად რას სთავაზობენ?

ის, რომ ლუის ვან გაალს ძალზე გაუფუჭდა საქმე „ბარსელონაში", უკვე სავსებით ცხადია. გუნდი უკვე გამოეთიშა ჩემპიონთა ლიგას, ვერ მოხვდა მეოთხედფინალში და ვერც ესპანეთის პირველობაზე ბრწყინავს. ასეთ პირობებში კატალონიელთა კლუბის დირექტორატმა მოლაპარაკება დაიწყო განთქმულ იტალიელ მწვრთნელ ფაბიო კაპელოსთან.

ამ დღეებში კაპელომ „ბარსელონას" სთხოვა კონკრეტული პირობები წაუყენოს, რათა გამოარკვიოს, მომავალში რომელ კლუბს დაუკავშირდეს. თუ „ბარსელონას" დათანხმდება, მაშინ მას მხოლოდ 1999 წლის 1 ივლისიდან უნდა ჩაუდგეს სათავეში. ასეთია იმ კონტრაქტის პირობები, რომელიც კაპელომ ადრე დადო მადრიდის „რეალთან": როცა „სამეფო კლუბიდან" წავიდოდა, ორი წლის განმავლობაში არა ჰქონდა „ბარსელონასთან" ახალი ხელშეკრულების გაფორმების ნება. არა და, 12 მილიონი დოლარი ჯარიმა უნდა გადაეხადა. ეს ორი წელიც სწორედ 1 ივლისს სრულდება.

კაპელოს მაინცდამაინც არ აღელვებს ეს პუნქტი. მან ადრევე დაგეგმა, რომ ეს სეზონი მისთვის „შაბათის წელი" იქნებოდა, ე.ი. დასვენების წელი. ახლა იგი ნებივრობს მალიორკას მზეზე და მუშაობის დაწყებას მხოლოდ ზაფხულიდან აპირებს. ეს ასეა, მაგრამ სამუშაო ადგილი ადრევე უნდა მოინახოს. შესაძლოა, მილანის „ინტერში", სადაც ავტორიტეტი შეერყა ლუიჯი სიმონის, ან ტურინის „იუვენტუსში", იქ დარჩენას მარჩელო ლიპი აღარ აპირებს (მას რომის „ლაციო" ეპატიჟება). ახლა, როდესაც ლუის ვან გაალს უკვე ზედიზედ მეორედ აქვს ჩავარდნა ჩემპიონთა ლიგაში, აქაც კაპელოს უპირებენ მიწვევას.

— ჩემზე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ეს ჯერჯერობით ხმების დონეზეა. მინდა სერიოზული წინადადება მომცენ, რათა გავარკვიო რომელი რომელს სჯობს.

ესპანეთში კაპელოს გამარჯვების მომტანის რეპუტაცია აქვს, „რეალს" ჩემპიონის წოდება მოუტანა და თავისი ნებით დატოვა კლუბი. მართალია, შემდეგ „მილანში", სადაც სილვიო ბერლუსკონიმ მიიწვია, საერთოდ, ვერაფერს გახდა. და აი, რა არის საინტერესო; თუმცა მისი სამწლიანი კონტრაქტი „მილანთან" პირველივე სეზონის შუაშივე დაირღვა, ბერლუსკონიმ განკარგულება გასცა მისთვის გასამრჯელო ამ სამი წლისთვის ბოლომდე, უკანასკნელ ლირამდე გადაეხადათ. ამან კი, არც მეტი, არც ნაკლები, წელიწადში დაახლოებით 7 მილიონი დოლარი შეადგინა. ისე რომ, კაპელო ჯერჯერობით დასვენებას ამჯობინებს...

### მოცარტი ფეხბურთელებსაც უყვართ

ავსტრიაში გადაწყვიტეს ზალცბურგში ახალი დიდი სტადიონიააშენონ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატისათვის, რომელსაც ეს ქვეყანა უნგრეთთან ერთად ჩაატარებს. ახლა საჭიროა ამ სტადიონისათვის კარგი სახელის შერჩევა. და აი წინადადებაც, რომელიც ყველას მოეწონა. ზალცბურგის ყველა დროის ყველაზე გამოჩენილი მოქალაქე ხომ ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი იყო. ერთი სიტყვით, ამ სტადიონს გენიალური კომპოზიტორის სახელი ერქმევა.

გრაცის სტადიონს კი ასევე მეტად პოპულარული ადამიანის — ამ ქალაქში დაბადებული არნოლდ შვარცენეგერის სახელი დაარქვეს. სტადიონებისათვის ადამიანების სახელის დარქმევის მოდა ოდნავ ადრე, 90-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა, როცა ვენის განთქმულ „პრატერშტადიონს" ერნსტ ჰაპელის სახელი უწოდეს, უფრო მოგვიანებით კი ვენის „რაპიდის" სტადიონს გერჰარდ ჰანაპის სახელი.

მძლეოსნობის სეზონი-98-ის მთავარი სენსაცია უთუოდ ამერიკელი ქალი მერიონ ჯონსია. მასზე შარშან ალაპარაკდნენ, როცა ზანგი სპორტსმენი მსოფლიოს რჩეული მორბენალი გახდა 100-მეტრიან დისტანციაზე. მაგრამ ეს იყო მხოლოდ პირველი მისი სერიოზული წარმატება. წლეულს, მერიონმა, ნამდვილი ფურორი მოახდინა — აბსოლუტურად არა თუ ყველა შეჯიბრებაში გაიმარჯვა, არ დაუთმია თუნდაც ერთი გარბენი, ამასთან, შედეგები ხომ ფენომენალური აჩვენა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ სწორედ მერიონი გააუმჯობესებს სახელგანთქმული ფლორენს გრიფიტ-ჯოინერის მიერ 10 წლის წინათ დამყარებულ მსოფლიო რეკორდებს 100 და 200-მეტრიან დისტანციაზე.

მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, წელს **ჟურნალისტების ტრადიციულ გამოკითხვაში მერიონ ჯონსი გახდა მსოფლიოს №1 მძლეოსანი.**

*სურათზე: მერიონ ჯონსი ზოგჯერ ძალებს სიგრძეზე ხტომაშიც ცდის.*

## ეს გამოუცნობი, მერიონი!



## სპორტული დეკემბერი

**თვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ასპარეზობების კალენდარი**

***4-6. ჩოგბურთი.*** დევისის თასი. ფინალი.
***7-13. ჩოგბურთი.*** ქალთა „მასტერსი". ფრანკფურტი, გერმანია.
***8. ფეხბურთი.*** უეფა-ს თასი, მესამე წრე (საპასუხო შეხვედრები).
***9-12. ფეხბურთი.*** ჩემპიონთა ლიგა. მეექვსე ტური.
***11-13. ცურვა.*** ევროპის ჩემპიონატი. „მოკლე წყალზე" შეფილდი, ინგლისი.
***11-20. ხელბურთი.*** ევროპის ჩემპიონატი (ქალები) ჰოლანდია.
***13. მძლეოსნობა.*** ევროპის ჩემპიონატი, კროსში. ფერარა, იტალია.

## ესპანური ფინალი ჰანოვერში



ჰანოვერში (გერმანია) დამთავრდა მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატი ჩოგბურთში, თანამედროვეობის რვა უძლიერესი ოსტატის მონაწილეობით. ისინი ორ, „თეთრ" და „წითელ" ჯგუფებად დაჰყვეს, 4-4 მონაწილით, ორ-ორი გამარჯვებული კი ნახევარფინალში გადიოდა. აქ ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც უნდა გადაწყვეტილიყო: დარჩებოდა პიტ სამპრასი რეიტინგში №1 ჩოგბურთელად, თუ მას მარსელო რიოსი გადაასწრებდა, რომელიც ლიდერს სულ რაღაც 33 ქულით ჩამორჩებოდა.

რახან რიოსი ჯერ კიდევ წინასწარ ჯგუფში დამარცხდა, სამპრასმა კი ორი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, ამერიკელმა შეინარჩუნა თავისი ლიდერობა რეიტინგში. აი, ამ ტურნირში წარმატების მიღწევა კი ვერ შეძლო, რადგან ნახევარფინალში საკმაოდ მოულოდნელად დამარცხდა ალექს კორეტჰასთან (ესპანეთი). ბევრი მოელოდა კარგ შედეგს ანდრე აგასისაგან (აშშ), მაგრამ მან სწორედ იმავე კორეტჰასთან ჯერ კიდევ ადრე პირველი მატჩი წააგო. მეორე ნახევარფინალურ მატჩში კარლოს მოიამ (ესპანეთი) ინგლისელ ტიმ ჰენმანს სძლია. საინტერესოა, რომ მოია ნახევარფინალში ერთი დამარცხებით გავიდა — მან წინასწარ ტურნირში პიტ სამპრასთან წააგო. შემდეგ კი გაცრუვდა სამპრასის იმედები, ზედიზედ მეხუთედ მოეპოვებინა გამარჯვება მსოფლიო პირველობაზე.

ფინალში ერთმანეთს ორი ესპანელი შეხვდა: კარლოს მოია და ალექს კორეტჰა. ზუსტად ასეთივე იყო როლან გაროსის წლევანდელი პირველობის ფინალი, სადაც გამარჯვება მოიას დარჩა.

***ორი პირველი სეტი მოიამ მოიგო, მაგრამ კორეტჰა არ შედრკა, ზედიზედ სამ სეტში გაიმარჯვა და მატჩის ბედიც თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. 3:6, 3:6, 7:5, 6:3, 7:5. ამრიგად, მან პირველად გაიმარჯვა მსოფლიო პირველობაზე.***

## „ტოტო-ლოტო" – მოთამაშეთა სიხარული!

***29 ნოემბერს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის ოცდამეთერთმეტე გათამაშებით.***

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:
**4. 6. 8. 38. 39. 41.**
6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.
5 ციფრი – 374.23.
4 ციფრი – 33.20 ლარი.
3 ციფრი – 2.60 ლარი.

**„ჯეკ-პოტი" 33 863 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

**„სუპერ-7"**-ის მომგებიანი ციფრებია: **7. 3. 3. 8. 3. 6. 3.**
**შემდეგი** ტირაჟი შედგება 6 დეკემბერს, ჯეკ-პოტი **33 863** ლარი.
***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

## ფორმულა-1

## სენას შეცვლის ზონტა?

ეტყობა, ბრაზილიელებს ფეხბურთზე ნაკლებად არ იზიდავთ ავტორბოლა. ამის დასტური გახლავთ ლეგენდარული აირტონ სენა, რომლის დაღუპვა ეროვნულ ტრაგედიად მიიჩნიეს ყავისა და ფეხბურთის ქვეყანაში, და ბუნებრივია, რომ იქ მოუთმენლად ელოდნენ მის ღირსეული შემცვლელის გამოჩენას... იგი 22 წლის რიკარდო ზონტა უნდა იყოს. ერთი თვის წინათ, 22 წლის ბრაზილიელმა მსოფლიო ჩემპიონის წოდება დაიმკვიდრა „გრანდ ტურიზმის" კლასში და უფლება მოიპოვა გაისად „ფორმულა — 1"-ში „ბრიტიშ-ამერიკენ რესინგის" გუნდის ღირსება დაიცავს შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონ ჟაკ ვილნევთან ერთად.

— მოხარული ვარ, — თქვა „ბრიტიშ-ამერიკენის" შეფმა, — რომ კონტრაქტი დაუდეთ ამ გასაოცარ მრბოლს. ამ ახალგაზრდას პროფესიონალი პილოტის ტალანტი, სიმწიფე და ინტელექტი აღმოაჩნდა.

ზონტა მსოფლიოს საუკეთესო მრბოლთა ათეულში შედის, არ მალავს სიხარულს იმის გამო, რომ 1999 წელს ამ გუნდის ბოლიდს მიუჯდება.




„მეტზე არც მიოცნებია ჯერ. „გრანდ ტურიზმსა" და „ფორმულა 300" გამარჯვებები (შარშან იგი „ფორმულა 300"-შიც უძლიერესი იყო) არაფრით არ შეედრება „ფორმულა-1"-ში წარმატებას. რა ბედნიერებაა ისეთი ყისმათიანი და გამოცდილი მრბოლის პარტნიორობა, როგორიც ჟაკ ვილნევია. იმედი მაქვს თანამშრომლობით ბევრს შევიძენ მისგან", — განაცხადა რიკარდომ.

*სურათზე: რიკარდო ზონტა გამარჯვებას ზეიმობს.*

## ჭადრაკი

## კრამნიკი წინ იყო, მაგრამ...

გარი კასპაროვისა და ვლადიმირ კრამნიკის მატჩი ელვისებურ ჭადრაკში, რომელიც ინტერნეტის საშუალებით მოსკოვიდან მთელ მსოფლიოს გადაეცა, უმაგალითო მოვლენა იყო ამ თამაშის ისტორიაში. იგი 24 პარტიისაგან შედგებოდა, თითოეულ პარტიაში გამარჯვებული ათას დოლარს იღებდა, ყაიმის შემთხვევაში კი თანხას იყოფდნენ.

კასპაროვს მსოფლიოს წამყვან მოჭადრაკეთაგან თამაში ყველაზე ძალიან კრამნიკთან უჭირს. ეს აზრი ამ მატჩმაც დაადასტურა. თითქმის მთელი ორთაბრძოლის მანძილზე ახალგაზრდა დიდოსტატი წინ იყო. მატჩის დამთავრებამდე სამი შეხვედრით ადრე მსოფლიო ჩემპიონს უკვე საბოლოო დამარცხების საფრთხეც კი შეექმნა — კრამნიკი წინ იყო ანგარიშით 10,5:8,5. გადამწყვეტ პარტიებში კასპაროვმა მაინც შეძლო მატჩის გადარჩენა. უკანასკნელ სამ პარტიაში მან ორი მოიგო, ერთი ყაიმით დაასრულა და. ამრიგად ორთაბრძოლა საბოლოოდ ყაიმით დამთავრდა — 12:12.




**1 დეკემბერი, სამშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი" (21.45). ***II არხი.*** „სუპერ-მატჩი" (21.10). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (19.20). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ფეხბურთი. „რეალი" (ესპანეთი) – „ვასკო და გამა" (ბრაზილია) – 22.50. ***REH TV.*** „სპორტკურიერი" (21.45; 1.15). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე" (22.40). ***НТВ плюс спорт.*** ბოდიბილდინგი (8.45). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (10.10). ფიგურული ციგურაობა (11.10). ფეხბურთი, ჩემპიონთა ლიგა (14.20). ჭადრაკის გაკვეთილი (16.35). ამერიკული ფეხბურთი (16.50; 17.55). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (20.30). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (22.15). ჩოგბურთი. დევისის თასი (23.10). ***ESPN.*** ფეხბურთი (2.45). სპორტული ცენტრი (4.00; 8.00 – 14.00; 19.30; 20.30; 1.30). ***EUROSPORT.*** სათხილამურო სპორტი (13.00). ბობსლეი (14.00). ფეხბურთი (15.00; 20.30). რალი (16.30). მძლეოსნობა (17.00). ჩოგბურთი (22.30), ფეხბურთი. ევროაზიური თასი (1.30). კრივი (3.30).

**2 დეკემბერი, ოთხშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** „გოლი" (21.50). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.55), ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (12.35; 19.20). ***რუსეთის ტელევიზია OPT-1.*** ჰოკეი. ევროლიგა (15.05). ***REH TV.*** „სპორტკურიერი" (21.45; 0.30). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე" (15.05; 22.40). ***НТВ плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილი (8.05; 16.10). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (9.05). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (10.10). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (16.25). ჭადრაკი. ბლიც-მატჩი: კასპაროვი – კრამნიკი (18.50). ჰოკეი (19.20). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (22.45). ჩოგბურთი. დევისის თასი (23.35), ***ESPN.*** სუმო (2.30). სპორტული ცენტრი (4.00; 8.00 - 14.00; 20.30). როდეო ელინსბურგიდან (6.30). ნადირობა (20.00; 22.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (13.00; 15.00; 19.00). ჩოგბურთი (16.00). აფროსნობა (16.30). ბოულინგი (23.30). კრივი (2.00). რალი (4.00).

**3 დეკემბერი, ხუთშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (12.30; 19.20). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.05). ***რუსეთის ტელევიზია. REN TV.*** „სპორტკურიერი" (21.45; 0.55). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე" (15. 05; 22.40). ***НТВ плюс спорт.*** ბოდიბილდინგის გაკვეთილი (8.05; 15.45). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (9.15). ჰოკეი (18.15). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (13.35; 17.10). ჭადრაკი: კასპაროვი – კრამნიკი (19.30). საპარაშუტო სპორტი (20.05). ლათინოამერიკული ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა (20.35; 22.15). წყალში ხტომა (21.00). ჩოგბურთი. დევისის თასი (0.05). ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (2.30; 4.30; 8.00-14.00; 1.00). კარატე (17.30). ცხენოსნობა (18.30). ფეხბურთი (21.00; 22.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (15.00). მოტოსპორტი (16.00; 3.00). სნოუბორდინგი (17.00; 4.00). კარტინგი (17.30). ჩოგბურთი (19.00). სამთოთხილამურები (22.00). კრივი (23.30). სუმო (2.00).

**4 დეკემბერი, პარასკევი**
***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი" (21.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (12.30; 19.20). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***НТВ.*** საფეხბურთო მიმოხილვა (18.35). ***RENTV.*** „სპორტკურიერი" (21.45). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე" (15.05; 22.40). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკის გაკვეთილი (8.05; 15.40). ფეხბურთი. ლათინოამერიკული ქვეყნების ჩემპიონატები (8.45; 10.10). წყალში ხტომა (12.00). „ევროპის საფეხბურთო კვირა" (13.35). საპარაშუტო სპორტი (16.15). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (22.55). ***ESPN.*** კალათბურთი (2.00). სპორტული ცენტრი (4.00; 8.00-14.00; 20.30; 0.30), ჩოგბურთი (15.30), ნადირობა (23.30). ***EUROSPORT.*** ტრამპლინიდან ხტომა (13.00; 14.00). მოტოსპორტი (15.00). ავტოსპორტი (16.00). სამთოთხილამურები (17.00; 21.00; 22.00; 1.00). ფიგურული ციგურაობა (19.30). კრივი (23.00). სუმო (1.45; 2.00). ექსტრემალური სპორტი (3.00; 4.00).

**5 დეკემბერი, შაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** „ავტოსპორტი" (20.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (12. 30; 19.20). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***ევრიკა.*** „სტუმარი" (21.00). რუსეთის ტელევიზია. ***PTP.*** მძლეოსნობა (18.00). ***ТВ центр.*** „ფეხბურთი დიალოგებში" (14.55). ***REN TV.*** სპორტული მიმოხილვა (20.15). ***ACT.*** სპორტული პროგრამა (21.35). ***НТВ плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილი (10.40; 16.10). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (10.55). ჰოკეი (13.45). ფეხბურთი დარბაზში (16.30). ამერიკული ფეხბურთი (17.00). ჩოგბურთი (17.30). კრივი (19.40; 22.10). ჰოკეი (20.30). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (23.55). ***ESPN.*** ფეხბურთი (2.30; 14.00; 21.30; 1.30), სპორტული ცენტრი (4.00; 8.00; 12.00; 20.30). მოტოსპორტი (21.00). ***EUROSPORT.*** სნოუბორდინგი (13.00; 18.00). სამთო თხილამურები (14.00; 15.00; 23.00). ტრამპლინიდან ხტომა (16.00; 21.00). რაგბი (18.30). ბობსლეი (1.00). სუმო (2.00). ჩოგბურთი (3.00). ***THT.*** ნჰლ-ის საუკეთესო მატჩები (2.30).

**6 დეკემბერი, კვირა**
***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** „სუპერ-მატჩი" (21.05). ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (12.35). ***კავკასია.*** „ფეხბურთის ლეგენდები" (15.00). „ვარსკვლავები" (18.00). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.15). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** საფეხბურთო მიმოხილვა (1.25). ***REN TB.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა (16.30). „სპორტკურიერო (16.05, 21.45). ***AST.*** „სპორტი" (21.35). ***НТВ плюс спорт.*** ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (11.00). ჰოკეი (13.45). საჭადრაკო მიმოხილვა (16.10). ჩოგბურთი. დევისის თასი (16.45). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (23.35). ***ESPN.*** კალათბურთი (2.30). ფეხბურთი (5.00; 5.30; 10.30; 22.15; 1.30). სპორტული ცენტრი (8.00; 12.30, 1.30). ჩოგბურთი (17.00), ***EUROSPORT.*** ტრამპლინიდან ხტომა (13.30; 16.00; 20.30). სამთო თხილამურები (15.00; 22.00). სნოუბორდინგი (18.00), ავტოსპორტი (23.30; 0.00). კრივი (1.00). სუმო (2.00). ჩოგბურთი (3.00).

**ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო სამძიმარს უცხადებს მერიის მუნიციპალიტეტის ვიცე-პრემიერის თანაშემწე ირაკლი დვალს ბებიის გარდაცვალების გამო.**










**თარაზულად:** 5. აშშ-ს საფეხბურთო ნაკრების წევრი ***(ფოტო),*** 6. მონდიალ-98-ზე თავგამოჩენილი მექსიკელი ფეხბურთელი. 10. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 11. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, მცველი, 12. წარსულში ცნობილი ქართველი ტანმოვარჯიშე ვაჟი, 16. პორტუგალიურ კლუბში მოთამაშე ბრაზილიელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 16. „ფორმულა-1"-ის მანქანა, 17. ავტომობილების მწარმოებელი ცნობილი ფირმა. 18. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი. 21. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 23. დანიის საფეხბურთო კლუბი, 27. მსოფლიო ჩემპიონი ვაჟთა შორის ფიდეს ვერსიით, 29. იაპონიის ქალაქი, სადაც ჩატარდება მონდიალი-2002 წლის ზოგიერთი საფეხბურთო მატჩი, 30. ახლო წარსულში ინგლისის საფეხბურთო ნაკრების მცველი ***(ფოტო),*** 31. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 32. ცნობილი ჰოლანდიელი მოჭადრაკე ვაჟი.

**შვეულად:** 1. 50-60-იან წლებში ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 2, 3. 60-იან წლებში ცნობილი ბრაზილიელი თავდამსხმელი ფეხბურთელები, 4. ცნობილი იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი, 7. საჭადრაკო ჯილდო, 8. ცნობილი პოლონელი ფეხბურთელი, მცველი 70-იან წლებში, 9. ინდოელი მოჭადრაკე ვაჟი, 13. სახელგანთქმული ამერიკელი პროფესიონალი მოკრივე, 14. აფროსნობაში, იახტის კლასი, 19. 50-იან წლებში ტანმაღალი პორტუგალიელი ცენტრფორვარდი, 20. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი, 23. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მეკარე, 24. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 25. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 26. საფეხბურთო მინდვრის მოხაზულობა: მეკარის მოედანი, საჯარიმო მოედნის ხაზი..., მოედნის ცენტრი, 28. ინგლისის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელის სახელი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. დი მატეო, 7. „ბოლონია", 8. ჩესლავსკა, 11. სირია, 12. ბესტი, 13. „პარმა", 16. დუშამი, 17. ვოლანი, 21. მეოლა, 22. კროლი, 23. დვირი, 26. ლიტბარსკი, 27. „შაგატი", 28. „კარპატი". **შვეულად:** 1. ეისებიო, 2. „მედეო", 3. ბოიკო, 4. ტიურამი, 6. ადამსი, 9. მინაშვილი, 10. ტარხანოვი, 14. ლემიე, 15. გროსი, 18. რედნაპი, 19. კორაჩი, 20. „არარატი", 24. ფინტი, 25. ოკტაი.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი (თბილისი)




**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ლh5! ცუგცვანგი,
1. ...მფe3 2. ლ:h6X, 1. e3 2. ეg4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშონიძე